

# ქართული

ქართუდი მარცხი ენაა?  
ქართუდი ქართუდი რწმენაა!  
ღმერთიან, ბედისწერაან,  
ზღვა რთა, იმღერაან!

1(26) 2010  
იანვარი-თებერვალი

**გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო**

# ნომჯიშონა:

სახიფრეღვინეო ღვინო	3
ქახოფრეღი მხედრომთაფრეღი გომიფი სარყაფი	4-9
ყათოღრყობ-ჰაყიოჰიქი ამბიოზი	10-11
ფიღფრეღი ყრბოფრეღონ გომოფრეღონდ ამანათფრეღი	12-15
ფეზიოჰად მითხიოზიღი	16-20
ღამაზი ყრეღფრეღი	20-22
„Chamisso“-ს ჰიოზიოზ გადაყრეღა მიყრეღენი	23
ჰიფრეღენაზეფრეღი ქახოფრეღი ნიგრეღი	24-25
ყრანაზეღი თხოფრეღი	26-29
ნენა გეჰაზიომოფრეღი გახეღენა	30

# ს ს ბ ო რ ვ ე ც მ ვ ე რ მ მ ც ე ე ს ი

ქენ - სისხლო რემო -

ქენ - სისხლო რემო - სად ამ დაღვრილო...

ქენ - სად ამ ვხვრქადა შავი ყოთანნი.

ვინ ვაეყვიროვს, რამ ვაეყვიროვს, -

ნადიდეოთალი, ნაძამქოთალი.

ქენ - სისხლო რემო - ქენი ღვანლია.

რამაც აქამდე ყი ძოაღნია:

სვეციცხოველი... ხანძთა... ვამძია და ისიც, -

რაც ძველს ნაწყვანია...

ქენ - სისხლო რემო - ქენი ღინეჭა

ვეხისცვაოსნით ხშირად მიემძვნია...

სიცყვა, რომელიც ვეროთიიჭა, ვცდილომ, -

ვამოო, რაც ქეძიძლია...

ქენ - სისხლო რემო სისხლო ხნიერო,

დაყცხროძელო და ყცნაყრო...

საჭედნიეროდ, საჭედნიეროდ, -

ვაი, ვაი, რამ ყიდვ სძაყომ!

მუხრან მაჯავაზიანი

# რუსეთი

## ქართული მხედრობის

### ბიძგები სააკაძე

გიორგი სიაუშის ძე სააკაძე - დიდი მოურავი, საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. მისი დაბადების თარიღსა და ადგილზე სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთით ის დაიბადა 1580-იან წლებში სოფელ ნოსტეში, ხოლო მეორეთი 1570-იან წლებში სოფელ ფელში.

სააკაძეები იყვნენ სამეფო აზნაურები. მათ თქმის ხეობაში ჰქონდათ ფეოდალური სამფლობელო, რომლის ცენტრი იყო სოფელი ნოსტე. იქ ჰქონდათ სასახლე ციხე-კოშკით და კარის ეკლესია, სოფელ ერთაწმინდაში კი საგვარეულო მონასტერი. სააკაძის სამფლობელოში ორმოცამდე სოფელი შედიოდა იქ მცხოვრები ყმა-გლეხებითა და მსახურებით.


როგორც მაღალი სამოხელეო არისტოკრატის და მეფის კართან დაახლოებული ოჯახის შვილს, გიორგის განათლებაც შესაბამისი ჰქონდა. ისტორიული წყაროები აღნიშნავენ, გიორგი სასიამოვნო მოსაუბრე და მჭერმეტყველი ორატორი ყოფილა. გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით.

გიორგი სააკაძე მეტად პოპულარული პიროვნება იყო არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთში და ევროპაშიც კი. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი და მოგზაური, რომელიც ასე თუ ისე არ შეხებოდა გიორგი სააკაძის პიროვნებას.

გიორგი სააკაძემ ცოლად შეირთო ნუგზარ ერისთავის ასული. ამ ქორწინებით იგი უძლიერეს გვარს დაუმოყვრდა. მათ შვიდი შვილი ჰყავდათ, სამი ქალი და ოთხი ვაჟი.

გიორგი სააკაძის მოღვაწეობის პირველი წლების შესახებ მწირი ცნობები არსებობს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ახალგაზრდობიდანვე სამეფო კართან და სიმონ მეფესთან ახლოს უნდა ყოფილიყო, რადგან ოსმალეთში ტყვედ მყოფ მეფეს გიორგიც თან ახლდა.

სიმონ მეფის გარდაცვალების შემდეგ გიორგი სააკაძე საქართველოში ბრუნდება და ჯერ გიორგი



გიორგი სააკაძის უცნობი პორტრეტი

მეათის და შემდეგ მისი ვაჟის – ლუარსაბ მეორის თანამებრძოლი და ერთგული ხდება. ლუარსაბ მეორემ მალე გიორგი თბილისის მოურავად დანიშნა, ამ თანამდებობაზე ტრადიციულად დიდი ფეოდალები ინიშნებოდნენ.

მოურავი ქალაქის მმართველი იყო. მას ეკითხებოდა ქალაქის ყველა საქმე. ჰყავდა მრავალი ხელქვეითი მოხელე და ასასთა რაზმი, რომელთა საშუალებითაც მართავდა ქალაქს. თბილისის მოურავს დიდი შემოსავალი ჰქონდა ქალაქიდან. იგი ყოველ დღით მოხსენებას უკეთებდა მეფეს ქალაქის მდგომარეობის შესახებ. ის სამეფო საბჭოს წევრი და საერთოდ მეფესთან ახლო მდგომი დიდი მოხელე იყო.

სააკაძე, ვახუშტის ცნობით, გარდა თბილისისა,

ქალაქ ცხინვალის და დვალეთის მოურავიც ყოფილა. ამის გამო იგი ეკონომიური მდგომარეობითა და პოლიტიკური უფლებებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თბილისის ჩვეულებრივ მოურავთაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოურავზე დიდი მოხელეები სხვები იყვნენ, სააკაძე ლუარსაბის მეფობაში თავიდანვე დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფო საქმეებზე. ეს იყო შედეგი სააკაძის პირადი ნიჭისა და უნარისა, რომელიც უფრო ფართო სარბიელს მოითხოვდა, ვიდრე თბილისის ან რამდენიმე ქალაქის თუ პროვინციის მოურავობა იყო.

გიორგი ქართლის ერთ-ერთი დიდი მოხელე გახდა. ამასთანავე იგი ეკონომიურადაც უაღრესად გაძლიერებულა. „ამ ჟამში გამდიდრებულ იყო ქართლს მოურავი სააკაძე...გიორგი.....და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო“-ო აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი. გიორგის ეს პოლიტიკური და ეკონომიური აღზევება, რაც საბოლოოდ მის სოციალურ აღზევებას ნიშნავდა, ძირითადად მეფის წყალობით იყო მიღწეული. 1607-1610 წლებში გიორგი უხვად იღებს ლუარსაბისგან ყმა-მამულს. იმავე წლებში იგი თავისი ფულითაც ყიდულობს მიწა-წყალს.

გიორგი სააკაძის სოციალური აღზევება და მისი პიროვნების განდიდება გამოიხატება იმაშიც, რომ დიდ ფეოდალთა ერთი ჯგუფი მისი მხარდამჭერი გახდა.

ლუარსაბის მეფობის დასაწყისში გიორგი სააკაძის მოღვაწეობა ფეოდალური ანარქიის დასუსტებაში გამოიხატა. მან შეძლო ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარი განმტკიცება. ზოგი დიდი ფეოდალი, რომელიც ადრე არაერთგვარ ანგარიშს არ უწევდა მეფის ხელისუფლებას, ახლა ტახტის ერთგულ მსახურად გამოიყურებოდა. ამასთანავე გიორგიმ ქართლის მეფეს კვლავ დაუმორჩილა გამდგარი მთიელები, მათ შორის ოსები და დვალეები.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გიორგი სააკაძემ ქართლის მოშენება-მომრავლებას. მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის მოშენების, ეკონომიური მოღონიერებისა და მისი თავდაცვისუნარიანობის აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწარმოებელი მოსახლეობის გამრავლებას. ის ხელს უწყობდა გაბნეული მოსახლეობის თავის „სამკვიდროზე“ მობრუნებას. გარდა ამისა, გიორგი „ბატონყმური რიგის“ დაცვას – ესეიგი გლეხის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას ცდილობდა, რათა მას ინტენსიური მეურნეობის წარმოების უნარი ჰქონოდა. ის არა მარტო მფარველობდა „დაბალ კაცს“, არამედ აწინაურებდა კიდევ მათი წრიდან

ღირსეულებს.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ იქაური ქართველობა ქედს არ იხრიდა და თავგანწირვით იბრძოდა ოსმალების გასადევნად.

ოსმალებმა დიდი ლაშქობა მოაწყვეს სამცხე-საათაბაგოში და ახალციხე დაიპყრეს. ამის შემდეგ, რადგან ოსმალების ქართლში შემოსევას ელოდნენ, ქართველებმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს. ქართლში შემოსასვლელი გზები გაამაგრეს და მის მცველებად სარდლები იარაღი და ზაქარია გააგზავნეს მცირე ჯარით. ამ დროს ლუარსაბი მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაში – ცხინეთის ციხეში იმყოფებოდა მცირე ამალით.

1609 წლის ივნისში მართლაც შემოიჭრა ქართლში ოსმალთა მრავალათასიანი არმია. რომელთა რიცხვში ორი ათასი ყირიმელი თათარი იყო. სწრაფად გამოვლო ჯავახეთი, თრიალეთი, მოხერხებულად გვერდი აუარა იარაღი და ზაქარიას რაზმებს და მანგლისს მიაღდა. მტერმა რამდენიმე სოფელი გადაწვა და გაანადგურა.

ქართველმა დარაჯებმა გვიან გაიგეს ოსმალების შემოჭრა. მტრის მიზანი ქართლის მეფის – ლუარსაბის შეპყრობა და შიდა ქართლში შესვლა იყო. იგი თავისი მიზნის მიღწევას მოულოდნელი და სწრაფი მოქმედებით შეეცადა და პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ოსმალებმა სოფელ კველთაში თევდორე მღვდელი დაიჭირეს და ცხინეთისკენ გაძლოლა უბრძანეს. მღვდელმა არ გათქვა მეფის ადგილსამყოფელი და მტერი საწინააღმდეგო მხარეს წაიყვანა. სამშობლოსათვის თავდადებული ხუცესი წამებით მოკლეს. ცხინეთიდან კარგად მოშორებულმა მტერმა დაკარგა სწრაფი თავდასხმის შესაძლებლობა და მათ გვემას ნიადაგი შეერყა.

ცხინეთში მეფესთან ერთად იმყოფებოდნენ გიორგი სააკაძე და გამოჩენილი სარდალი ზაზა ციციშვილი. ამ რთულ ვითარებაში გიორგი სააკაძემ გასაოცარი საზრიანობა და ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა.

მეფე ციხეში გამაგრდა. გიორგიმ შიკრიკები აფრინა მუხრანბატონთან, ამილახვართან, ერისთავებთან, თბილისის ირანელ ციხისთავთან და ჯარებით ბრძოლის ველისაკენ მოუწიდა. შემდეგ მახლობელ სოფლებში, რამდენიმე საათის განმავლობაში, ოთხსამდე კაცი შეკრიბა, სათავეში ჩაუდგა და ზაზა ციციშვილთან ერთად ოსმალების მოწინავე რაზმს ეკვეთა. ამასობაში ერთი მხრივ ბარათაშვილების მცირე რაზმები მოახლოვდნენ, მეორე მხრივ კი იარაღი და ზაქარია შემოიჭრნენ თავიანთი რაზმებით. ბრძოლა მოხდა თეძმის ხეობაში

– სხერტის ჭკაში. ქართველების საოცარმა გამბედაობამ და სიმამაცემ გატეხა მტრის რაზმები. ოსმალებმა პირი იბრუნეს და მტკვირს დინებას ხემოთ აჰყვნენ.

პირველი გამარჯვება მოპოვებული იყო. ამ გამარჯვების ორგანიზატორი გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი იყვნენ. ბრძოლაში სიმამაცით თავი გამოიჩინა გიორგის ძმამ – ქაიხოსრო სააკაძემაც.

ოსმალების მიზანი – მეფის დატყვევება და შიდა ქართლის დაკავება – ჩაიშალა. ახლა მათ მიზანს ქართლიდან მშვიდობიანად გაღწევა და ნადავლისა და ტყვეების ახალციხეში გადაყვანა წარმოადგენდა. ქართველების მიზანი კი ნადავლისა და ტყვეების წართმევა და მტრის სრული განადგურება იყო.

ოსმალებმა სოფელ ბრბონას მიაღწიეს, იქ დაიბანაკეს და მტკვირის გადალახვის სამზადისს შეუდგნენ. ახლო-მახლო სოფლებში ხის სახლები დაანგრეს და ამ ფიცრებით მტკვარზე ხიდი გამართეს, მდინარე გადალახეს და ტაშისკარის ბოლოს ნახევტარში დადგნენ.

ქართველების ჯარი სააკაძის მეთაურობით ახალდაბას წავიდა. შალვა, ქსნის ერისთავი კორტანეთს დადგა და ახალციხისკენ გადასასვლელი გზები ჩაკეტა. შიდა ქართლის ჯარი უკვე მოსულიყო და სურამის ბოლოს იდგა. ოსმალებს ყველა მხრიდან გზა მოჭრილი ჰქონდათ. ისინი იძულებულნი იყვნენ ან ბრძოლა მიეღოთ ან ტყვედ ჩაბარებულიყვნენ. ორივე მხარე ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბირი გაიმართა. თათბირს, რომელსაც ლუარსაბ მეფე მეთაურობდა, გარდა სააკაძისა, ესწრებოდა ქართველთა ყველა გამოჩენილი სარდალი: ზაზა ციციშვილი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, მუხრანბატონი, ამილახვარი და თბილისის ირანული გარნიზონის უფროსი დალუ-მაჰმად-ხანი, რომელიც შვიდასი კაცით მოსულიყო ბრძოლის ველზე. თათბირზე ომის მრავალი გეგმა იქნა წარმოდგენილი და განხილული.

ბოლოს გიორგი სააკაძემაც წამოაყენა თავისი გეგმა: „თხრილის პირს გარშემო მეთოფეები მოვახვიოთო და ცხენოსანი მინდვრად მივიღეთო“. გეგმის განხორციელება სწრაფ და უეცარ თავდასხმამზე იყო აგებული. თათბირმა გიორგის გაბედული გეგმა მიიღო და სარდლობაც მას დააუკლა.

ომი გარიჟრაჟზე დაიწყო. პირველად ქართველებმა შეუტოეს. გიორგიმ მოხერხებულად ისარგებლა დილის ნიავით, რომელსაც მტრის სანგრებისაკენ მიჰქონდა თოფის სროლისაგან ამდგარი ბოლი. ამ ბოლს კი უჩუმრად მიჰყვებოდნენ ქართველთა რაზმები, რომელნიც ისე მიუახლოვდნენ

სანგრებს, რომ ოსმალებს არაფერი უგრძნიათ. ქართველები მტრისათვის მოულოდნელად, დიდი ყიჟინით შეიჭრნენ მათ სანგრებში. გამაგრებულ თხრილებში მსხდომ ოსმალები ამას არ მოელოდნენ. ქართველების მოწინავე რაზმი, რომელსაც თვით გიორგი წარუძღვა, გააფთრებული ეკვეთა მტერს. ოსმალების ბანაკი აირია, მაგრამ მტერი ძალე მოეგო გონს და ქართველებს შემოუტია. გაიმართა დიდი სისხლისღვრა.

ომში პირადად მონაწილეობდა და მამაცობით თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ლუარსაბ მეფემ. დიდი სიმამაცით იბრძოდნენ ქართველი ჯარისკაცებიც, მაგრამ ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ გიორგი სააკაძის უმაგალითო გმირობას. გარდა იმისა, რომ გიორგი მთელს ომს სარდლობდა, პირადად მონაწილეობდა ყველაზე მძიმე უბნებზე ბრძოლაში, მთელი დღის მანძილზე. ომში მას სამი შუბი და ერთი ლახტი დაემტერა. შემდეგ ხმლით განაგრძობდა ბრძოლას.

გარიჟრაჟზე დაწყებული ომი სადამოს ცხრა საათამდე გაგრძელდა და ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მტრის უზარმაზარი რაზმები მთლიანად განადგურდა, მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. აღტაცებული მემატიანე წერს: „გამარჯუათ ურჯულოთა ზედა და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარ ყვეს: რაცა ოდენი ქართლიდამ ემოვნათ, ტყუე თუ საქონელი, იგიც ყოველივე წამოიღეს და მათიცა მრავალი წართუეს. და რაც ოდენი შეიჰყრეს ყირიმნი, მოსრნეს პირითა მახვილისათა“-ო.

ტაშისკარის ომში გამარჯვების შემდეგ ძლიერ გაიზარდა გიორგი სააკაძის ავტორიტეტი. მან მეფე ლუარსაბის დიდი ნდობა მოიპოვა. მისი ნიჭისა და სიმამაცის ამბავი საქართველოს საზღვრებს გასცდა.

გიორგი სააკაძის მამა-ბიძები სიმონ პირველის მოძრეობით და მისი შემწეობით გაძლიერდნენ და დაწინაურდნენ. სიმონ პირველი ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის მებრძოლი იყო. ეს ბრძოლა დიდი ფეოდალების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას ისახავდა მიზნად. სააკაძეებიც მეფის პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ. ამდენად მტრობა დიდ თავადებსა და სააკაძეებს შორის ადრიდანვე ჩაისახა.

გიორგი სააკაძეს მომხრეები დიდ ფეოდალთა წრიდან ჰყავდა. ესენი იყვნენ: ნუგზარ არაგვის ერისთავი, თეიმურაზ მუხრანბატონი, იესე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბააკა ხერხეულიძე და სხვანი. მათ ქართულ ისტორიულ წყაროებში სააკაძის „მოკიდებული კაცნი“ ქვოდებათ.

იყო შემთხვევები, როცა „მოკიდებული კაცნი“

სიტუაციებისა და ინტერესთა შეცვლის შემდეგ მისი მტრებიც გამხდარან. ასეთები იყვნენ ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები და მისი ცოლისძმა – ზურაბ არაგვის ერისთავი.

გიორგი სააკაძის მომხრეთა დასი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება იყო 1608-1611 წლებში.

სააკაძე იბრძოდა ერთის მხრივ დიდ ფეოდალთა უფლებების შესაზღვრავად, მეორეს მხრივ თავად მიისწრაფვოდა ამ უფლებების მოსაპოვებლად. ასეთი წინააღმდეგობებით იყო სავსე ამ დიდი ორგანიზატორისა და ნიჭიერი ადამიანის ცხოვრება.

გიორგი სააკაძესა და მის ძლიერ მომხრეებს არანაკლებ ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდათ. გიორგის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდი თავადების ჯგუფის სახით. ამ ფეოდალური პოლიტიკური დასის მეთაურები იყვნენ დიდი გავლენის მქონე თავადები – ფარსადან ციციშვილი და შადიმან ბარათაშვილი.

აღნიშნულ ორ ფეოდალურ დაჯგუფებას შორის ბრძოლა იყო შიდაკლასობრივი ბრძოლა, გაბატონებული ფეოდალური კლასის შიგნით, მის იმდროისათვის პროგრესულ და რეაქციულ ფრთას შორის. სააკაძე პროგრესული ძალის მეთაურად გამოდიოდა.



გიორგი სააკაძე  
კასტელის ნახატი

1611 წლის ნოემბრის ბოლოს ლუარსაბ მეორემ გიორგის დაზე იქორწინა. ეს სააკაძისა და მისი პარტიის წარმატება იყო.

გიორგი სააკაძის დის გადედოფლებამ მის მოწინააღმდეგე თავადთა ჯგუფის მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო. მათ სუსტი ნებისყოფის მეფე საეჭვო საბუთებით სააკაძის ორგულობაში დაარწმუნეს. გადაწყდა: დედოფლის გაშვება და გიორგის სიკვდილი.

1612 წლის 20 მაისს წაეკისში მყოფმა მეფემ გიორგი სანადიროდ მიიწვია. შეთქმულებმა გადაწყვიტეს აქ მოეკლათ სააკაძე. ეს გეგმა ცნობილი გახდა გიორგის მომხრე ბააკა ხერხეულიძისათვის, რომელმაც მოურავი გააფრთხილა სანამ გაქცევა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. დიდი მოურავი თავისი ცოლ-შვილით ირანის გზას გაუდგა და შაჰ-აბასს ეახლა.

გიორგი სააკაძემ ირანში თავისი ნიჭითა და სიმამაცით სახელი გაითქვა და შაჰის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. მან მონაწილეობა მიიღო ინდოეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ შაჰის წარმატებულ ომებში. ამ ომებში წარმატებებმა დიდი სახელი მოუტანა სააკაძეს, მის გმირობას ხოტბას ასხამდნენ პოეტები.

შაჰ-აბასის კახეთში ლაშქრობის დროს 1614-1617 წლებში, გიორგი სააკაძე ცდილობდა შერიგებოდა თავის მტრებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ქართლს შესძლებოდა თავდაცვა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სააკაძის მტრები შაჰის სამსახურში ჩადგენენ და ერთხელ კიდევ სცადეს გიორგის მოკვლა.

1619 წელს შაჰ-აბასს პირველმა სააკაძე დანიშნა ქართლის ხანის – სიმონ მეორის ვეჭილად ანუ რწმუნებულად. საქართველოში ჩამოსვლისთანავე გიორგი შეუდგა აჯანყებისათვის მზადებას. შეურიგდა თავის მტრებს ფარსადან ციციშვილსა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს. დაუკავშირდა იმერეთის მეფეს გიორგი მესამეს და გამარჯვების შემთხვევაში ქართლის ტახტი აღუთქვა. დაუმოყვრდა ოსმალთა დიდმოხელეს, შეაკეთა ციხეები, ხიდები, გზები.

შაჰი დიდი ლაშქრობის სამზადისს შეუდგა და 1624 წელს გიორგი ირანში გაიწვიეს.

1625 წლის აღრიან გაზაფხულზე შაჰ-აბასმა დიდი არმია გამოგზავნა საქართველოში ყარჩიხა ხანის სარდლობით. თან გიორგი სააკაძე გამოაყოლა, თუმცა მძევლად მაინც დაიტოვა მისი ვაჟი პაატა. შაჰს სურდა კახეთის ამოწყვეტა და ქართლელთა ირანში გადასახლება. გიორგიმ აჯანყება ირანშივე გადაწყვიტა.

1625 წლის 25 მარტს, გამთენიისას, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მტერს ქართველები

მიუახლოდნენ. გუშაგებმა განგაში ატეხეს. ირანელთა სარდლობამ სააკაძე იხმო. ცხენზე შესაჯდომად გამზადებულ ყარჩიხა ხანს სააკაძემ შუბი აძგერა. სანამ დაბნეული სარდლობა გონს მოვიდოდა, გიორგიმ და მისმა მხლებლებმა ისინი დახოცეს. უსარდლოდ დარჩენილი ირანელთა ჯარი აირია. ბრძოლამ მთელ დღეს გასტანა და გვიან ღამით აჯანყებულების გამარჯვებით დამთავრდა. 30 ათასამდე ყიზილბაშიდან, მხოლოდ სამიათასამდე უშველა თავს გაქცევით. ყარჩიხა ხანის არმიის ერთიანმა გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ-აბასს. გაბოროტებულმა შაჰმა თავი მოკვეთა სააკაძის ვაჟს პაატას.

სააკაძე შაჰ-აბასის ახალ შემოსევას ელოდა და მრავალი ღონისძიება განახორციელა ქვეყნის თავდაცვის გასამდიერებლად. მან დახმარებისთვის ოსმალებს მიმართა, მაგრამ ქართველების ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა.

შაჰ-აბასმა უზარმაზარი არმია შეკრიბა და თავისი ბიძის – ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა. ისა-ხან ყორჩიბაშის არმია 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მარაბდის ველზე დადგა.

ქართველები, რომლებიც მოელოდნენ ირანელების შემოტევას, 20 ათასიანი არმიით კოჯორ-ტაბაზმელას მიდამოებში დაბანაკდნენ. იქვე იყვნენ თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე.

სამხედრო თათბირზე, რომელსაც მეფის და სააკაძის გარდა ესწრებოდნენ სხვა გამოჩენილი სარდლებიც, მტერთან შებმის თაობაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოჟღავნდა. სააკაძეს სურდა დაცვა სანამ მტერი თავად არ დაიწყებდა შეტევას, რადგან გაშლილ ველზე ქართველებს ბრძოლა გაუჭირდებოდათ. მას მხოლოდ ბაადურ ციციშვილი მიემხრო, დანარჩენები დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლას ითხოვდნენ. სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო და 1625 წლის პირველ ივლისს ომის დაწყება გადაწყვიტა. მათ სააკაძე ომის წარმოების საერთო ხელმძღვანელობიდან ჩამოაცილეს.

ქართველთა ჯარი მარაბდის ველისკენ დაეშვა. ყიზილბაშები მომზადებულები დახვდნენ, მათი სანგრებიდან 12 ათასმა თოფმა და ზარბაზანმა დაიქუხა. გაჩაღდა ბრძოლა. სააკაძემ მუხნარადი აიხადა, რომ ყიზილბაშებს ეცნოთ, მისი გამოჩენა თავზარს სცემდა მტერს. იგი იქ იბრძოდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა ქართულ ჯარს.

ქართველების გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ ისა-ხან ყორჩიბაშის გამოცდილებამ და ქართველთა დაუდევრობამ, რომელთა ერთმა ნაწილმა ბრძოლა მოგებულად ჩათვალეს და ალაფობა დაიწყო, ვითარება შეცვალა. ამ დროს ირანელებს



დამხმარე რაზმიც მოუვიდათ. დაღლილმა ქართულმა ჯარმა ახალ შემოტევას ვერ გაუძლო და გატყდა. ყველასათვის ნათელი გახდა სააკაძის გეგმის უპირატესობა, მაგრამ გვიანი იყო.

ქართველები დამარცხდნენ, თუმცა იარაღი არ დაუყრიათ. სააკაძე პატარ-პატარა რაზმებით პარტიზანულად იბრძოდა. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დორს სააკაძემ 60 კაცი მტრის 700 ჯარისკაცი გაწყვიტა.

ისა-ხან ყორჩიბაშმა თორმეტი ათასიანი რაზმი გამოყო და არსის ციხის ასაღებად გაგზავნა. სააკაძემ ღართისკარისა და წიწამურის მიდამოები გაამაგრა, წინ გადაუდგა მტერს და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მისმა მცირერიცხოვანმა რაზმმა მათი შეკავება ვერ შეძლო. მტერი ქსნის ხეობაში გადავიდა. სააკაძემ ახლა ქსნის ხეობის გზები შეკრა და შეება მტერს. ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა.

ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ყიზილბაშების მარაბდაში მოპოვებული უპირატესობა გაქარწყლდა.

ყიზილბაშებს ძალა აღარ შესწევდათ დიდი ღონისძიებების ჩატარებისა და ისევ ქართლის მოღალატე თავადებს დაუყვავეს. ისინიც საკუთარი ტყავის გადასარჩენად თანდათან მათ მხარეს გადავიდნენ. სააკაძე იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და სამცხეში გადასულიყო. მას თან გაჰყვა მისი ამაღლა და ზოგიერთი მომხრე თავადი.

სააკაძის სამცხეში ჩასვლის მიზანი ყიზილბაშთა



წინააღმდეგ ბრძოლა იყო და არა თავშესაფრის ძიება. მან თავისი რაზმითა და სამცხის ჯარებით დაამარცხა ირანელი მეციხოვნეები და გაათავისუფლა ხერთვისი, აწყური და ფარავანი. ახალციხეში მდგარმა ყიზილბაშებმა თვითონ მიატოვეს ციხე და ისა-ხან ყორჩიბაშთან გაიქცნენ.

ისა-ხან ყორჩიბაშმა დიდი რაზმი შეუსია სამცხეს სააკაძის წინააღმდეგ. ბრძოლა ასპინძის ახლოს მოხდა და ყიზილბაშთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

სამცხიდან სააკაძემ ელჩი გაგზავნა ოსმალეთში დახმარების სათხოვნელად, თუმცა ეს ელჩობაც უშედეგოდ დამთავრდა.

სამცხიდან ყიზილბაშების განდევნის შემდეგ სააკაძე იმერეთში გადავიდა, სადაც გიორგი მეფემ ყიზილბაშებთან წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება აღუთქვა, დახმარება აღუთქვეს გიორგის სამეგრელოსა და გურიის მთავრებმაც.

1626 წლის გაზაფხულზე სააკაძე ქართლში დაბრუნდა. იქ მას სრული ანარქია და განუკითხაობა დახვდა. მრავალი მისი მომხრე ყიზილბაშების მხარეს გადასულიყო, სამცხიდან გადმოსვლისთანავე გიორგიმ გორის ციხე აიღო. იქიდან მოჰყვა და მთელი ქართლი, თბილისის გარდა, დაიმორჩილა.

საკაძემ თავგასული ფეოდალებიც ალაგმა, რითაც მოსახლეობის მდგომარეობა შეამსუბუქა.

ქართლ-კახეთი გაერთიანდა და სათავეში მეფე თეიმურაზი ჩაუდგა, რომელიც სააკაძის ბრძოლების განახლების შემდეგ გადმოვიდა იმერეთიდან. ახლა დიდი მოურავი ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებაზე ოცნებობდა.

საკაძის დაულაღაუმა საქმიანობამ გაზარდა მისი ავტორიტეტი და გავლენა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. იგი ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდა.

გიორგი სააკაძის მისწრაფებამ ქვეყნის გაერთიანებისა და თავადთა თვითნებობის ალაგმვისკენ, ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გამოიწვია. მათ შემდეგ მტრობა ჩამოეგდოთ სააკაძესა და თეიმურაზ პირველს შორის, რომელსაც არ მოსწონდა დიდი მოურავის დამოუკიდებელი ურთიერთობა ოსმალეთის სულთანთან და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. ამ განხეთქილებით ისარგებლა შაჰმა აბას პირველმა და თეიმურაზს

შერიგება შესთავაზა. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. 1626 წლის ზაფხულის დამლევს თეიმურაზი კახეთში გადავიდა, მას თან გაჰყვა ფეოდალთა დიდი ნაწილი. გიორგიმ იმერეთის მეფეს, დახმარების სანაცვლოდ, მისი ვაჟის ქართლ-კახეთში გამეფება აღუთქვა. გიორგი მესამემ წინადადება მიიღო და დამხმარე ჯარი გაუგზავნა.

ბრძოლა გიორგი სააკაძის და თეიმურაზ პირველის მომხრეებს შორის გვიან შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბასთან გაიმართა. სააკაძის ჯარს ცუდ პირობებში მოუხდა ბრძოლა. გიორგიმ ერთხანს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო, მის ცხენზე დაუდ-ბეგ გოგორიშვილი შეჯდა და მისი სახელით იბრძოდა. იგი ზურაბ ერისთავმა მოკლა. როცა ხმა გავარდა სააკაძე მოკლესო, გიორგი იძულებული გახდა ბრძოლაში ჩაბმულიყო. ბრძოლა თეიმურაზ პირველის გამარჯვებით დამთავრდა. სააკაძე იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყო.

გიორგი დიდი პატივით მიიღეს სულთნის კარზე. სააკაძე სულთანთან აუდიენციის შემდეგ ერთ ხანს სტამბოლში დარჩენილა.

ოსმალეთში გიორგის მუსლიმანობის მიღება მოსთხოვეს. მას სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა, თუმცა მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა რჯული.

სულთანმა სააკაძე ყარაამნის ანუ კონიის ოლქის მმართველად დანიშნა, რამაც ადგილობრივი დიდებულების შური გამოიწვია, მან აქაც მეგობრებთან ერთად ბევრი მტერიც შეიძინა. გიორგი სააკაძის განდიდებას ხუსრევ-ფაშას შურიც გამოუწვევია. მან ბრძანა დიდი მოურავისა და მასთან მყოფი ქართველების შეპყრობა და მოკვლა. ისტორიკოსის გადმოცემით „ჯერ მოურავის, მერე მისი შვილისა და შემდეგ დანარჩენი მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გააგორეს“. ეს მოხდა 1629 წლის 3 ოქტომბერს.

ასე დაიღუპა თავისი დროის ეს დიდი ადამიანი, რომლის თავგანწირვამ იხსნა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკური განადგურებისაგან.

*მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი*



# წ ე ლ ი გ ი ა

## კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

„მონღოლთა გუროი ყოველთვის გრძნობს ქრისტიანს ნიჰილიზმის და მას აყენებს თავის წინაშე“.

### კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) დაიბადა 1861 წლის 7 ოქტომბერს სამეგრელოში, სოფელ ინჩხურში, მღვდლის ოჯახში. დაწყებითი განათლება ოჩამჩირის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ პერიოდში დაოჯახდა. სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1887 წელს, სოხუმის საკათედრო ტაძარში იგი ჯერ დიაკვნად ხოლო შემდგომში მღვდლად აკურთხეს. მას ეკავა ბევრი საპასუხისმგებლო თანამდებობები, იყო საეკლესიო-არქეოლოგიური კომისიის წევრი და ხაზინადარი, ხელმოკლე სასულიერო პირთათვის მზრუნველი საქარქიო კომიტეტის ხაზინადარი, სოხუმის გორსკის სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებელი, 1894 წლიდან კი სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხნის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველია. ამავე წელს დაამტკიცეს მღვდლების, დიაკვნებისა და მეღვთისმეტყველების კანდიდატების გამომცდელი კომისიის წევრად.

1896 წელს მას გარდაეცვალა მეუღლე, იგი მშობიარობას გადაჰყვა. მამა ამბროსის დარჩა სამი შვილი, რომლებიც გვერდიდან არ მოუშორებია, თან ჰყავდა ყაზანში სწავლისას და გადასახლების დროსაც კი.

1897 წელს, თავისი თხოვნის საფუძველზე გათავისუფლდა სოხუმის ეპარქიაში დაკავებული ყველა თანამდებობებისაგან და ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. სწავლის დროს ბერად აღიკვეცა. 1902 ყაზანის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ბრუნდება საქართველოში და უკვე არქიმანდრიტის ხარისხში აყვანილი ინიშნება ჭელიშის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

1904 წელს არქიმანდრიტი ამბროსი თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად ინიშნება.

1909 წლის 22 იანვარს ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს, ღვთისმსახურება აუკრძალეს და რიაზანის ყოვლადწმინდა სამების სახელობის მამათა მონასტერში გადაასახლეს. ერთი წლის შემდეგ აღუდგინეს მღვდელმოქმედება და ნოვგოროდის ეპარქიაში მამათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. საქართველოში დაბრუნების უფლება კი არ მისცეს. მისი ყოველი თხოვნა საქართველოში დაბრუნებაზე უპასუხოდ რჩება. საქართველოში კი ვრცელდება ხმები, რომ ამბროსი ხელაია თავს მატერიალურად ისე კარგად გრძნობს რუსეთში, რომ დაბრუნების



კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

სურვილი აღარც კი აქვსო. ამაზე გულისტკივილით წერს თავის წერილში: „ზოგიერთები მთვლიან მე ბედნიერად, რომ მოეშორდი საქართველოს და ვითომ მატერიალურად კარგად მოეწყვე. ამ წერილის დამწერთ, ალბათ, ჯერ არ გამოუცდიათ მართლობა სულისა, არ გამოუცდიათ ის სიმწვავე, რასაც განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი, თუ კი გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი და გული შესტკივა სამშობლოს მდგომარეობაზე“.

1917 წელს წმინდანი საქართველოში ბრუნდება. მას ჯერ ჰყონდიდის, შემდეგ კი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხებენ.

1921 წელს გელათში გამართულ საქართველოს ეკლესიის III საეკლესიო კრებაზე აირჩიეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და 14 ოქტომბერს მოხდა სვეტიცხოველში მისი აღსაყდრება.

საქართველოს გასაბჭოებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო ეკლესიის დევნა, ქართული ენის უფლებების შეზღუდვა და ისტორიული მიწების სხვათა საკუთრებაში გადაცემა, ამის გამო პატრიარქი აგზავნის დოკუმენტებს ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში განსახილველად, თუმცა უშედეგოდ.

1922 წელს კი კათოლიკოსმა ამბროსიმ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნა მემორანდუმი, სადაც ის ამხელდა რუსეთის იმპერიას და საქართველოს ანექსიაზე საუბრობდა: „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ ეროვნულ კულტურას, უბღალავენ წმინდათაწმინდას, სარწმუნოებრივ გრძნობას.“ ამ წერილით ითხოვდა პატრიარქი ქართველი ერის სახელით საქართველოდან წითელი არმიის გაყვანას. ამის გამო ჩეკას თანამშრომლებმა დააკავეს კათოლიკოსი საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრთან ერთად და წაუყენეს შემდეგი ბრალდებები: კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა; ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის დამალვა, რომელზეც იგი ასეთ პასუხს სცემს: „ნივთების დამალვა მოხდა უჩემოდ, მაგრამ მართლაც რომ ვყოფილიყავი დამალვის მონაწილე, მაშინაც ვერ ჩავთვლიდი ჩემს თავს დამნაშავედ, ვინაიდან სამღვდელეობა მოვალე იყო, ეზრუნა ეკლესიის ქონების დაცვისათვის და უხსოვარი დროიდან არეულობის და მტრების შემოსევის დროს მიმართავდნენ ამ საშუალებას“; საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის კომკავშირისადმი გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. ამ ბრალდებებზე კი ასე პასუხობს: „თქვენი წინადადება ჩვენთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამის მიღებით ჩვენ გაუხდებოდათ ღვთის დადგენილებისა და სარწმუნოების მოღალატენი“.

ბოლოს კი ასე დასძენს: „ჩემთვის ტკივილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოდებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვრისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების თითქმის 37 წლის განმავლობაში“. კათოლიკოს-პატრიარქის განაჩენი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ რადგან პატრიარქი მხცოვანია, მას მაშინდელმა უზენაესმა სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოუტანა: კათოლიკოსი ამბროსი 7 წელი, 9 თვე და 23 დღე სასტიკი იზოლაციათა და მთელი ქონების კონფისკაციით.

თითქმის ყოველდღე შუქდება გაზეთებში სასამართლო პროცესი, იწერება კადნიერი ლექსები, სტატიები. როდესაც პატრიარქი სასამართლო დარბაზს ტოვებს, საგანგებოდ მოწვეული კომკავშირელები მას კვერცხებს ესვრიან.

ის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავს: „ჩვენ, ღვთისმსახურნი, ქრისტიანულ სწავლა-მოდღვრების მიხედვით, ვალდებულნი ვართ, დავემორჩილოთ ხელმწიფებასა მას უმთავრესსა (მთავრობას), რადგან ხელმწიფებასა შინა მყოფნი, მსახურნი ღმრთისანი არიან, მათთვის უნდა ვილოცოთ და მათთვის არ ვსთქვათ ბოროტი, მაგრამ ბოროტისა არა თქმა იმას არ ნიშნავს, რომ მათ მოქმედებას კრიტიკის თვალთ არ შევხედოთ, მათი შეცდომები არ აღვნიშნოთ... თუ ვხედავდი ეროვნული მოსპობის საშიშროებას, მოვალე ვიყავი ხმა ამომელო“.

ციხეში ყოფნისას მას მოსთხოვეს თავისი ნებით გადამდგარიყო პატრიარქობიდან, რაზედაც მან უარი განაცხადა.

1925 წელს ამინისტიით კათოლიკოსს სასჯელს უხსნიან.

ციხის კარიდან პირდაპირ სიონში მისული პატრიარქი მუხლებზე დაჩოქილი მრევლს ასე მიმართავს: „როგორც ჩანს ქრიატიანობას საქართველოში ვერა ძალა ვერ გაანადგურებს“.

კათოლიკოს-პატრიარქმა თამნამებრძოლებთან ერთად ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ მოახერხა გაფანტული მრევლის ერთად შეკრება.

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრებამ კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანად შერაცხა მღვდელმთავარ ამბროსი აღმსარებლის სახელით.

მომზადა

ეკატერინე ცირიკაშვილი



# ინიშნით უსწრაფესად გამოგზავნიდ ჩაანათავს!

ვისაც არ გამოვიცდით, ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ, მაგრამ სხვებისგან მაინც გეჭნებათ მოსმენილი, თუ როგორი არასასიამოვნო განცდაა, როცა სახლში ტელეფონის ზარი, ან წერილობით მოსული შეტყობინება პოლიციაში ან სასამართლოში თქვენი გამოძახების შესახებ გაუწყებთ. ერთ დღეს შეიძლება თქვენს სახლში გაისმეს ზარი, ან მოგივიდეთ წერილობითი შეტყობინება, რომ თქვენს სახელზე ამანათია ჩამოსული და თბილისის აეროპორტს უნდა ეწვიოთ. ამანათის მიღება ვის არ გაუხარდება, მაგრამ მერწმუნეთ, სიხარული ნაადრევია. უცხოეთში მყოფი მეგობრისგან ან ახლობლისგან დიდი სიყვარულით გამოგზავნილი ამანათი, შეიძლება, აღმოჩნდეს ის, რაც თქვენს სიხარულს ტანჯვად აქცევს და განატრებინებთ, ამას სჯობდა სახლში პოლიციიდან ან სასამართლოდან მომსვლოდა უწყებაო.

საქმე იმაშია, ამ რამოდენიმე ხნის წინათ საბაჟო და საგადასახლო კოდექსში შესული ცვლილებებით, განბაჟებას ექვემდებარება ნებისმიერი საფოსტო გზავნილი, რომლის ღირებულება 300 ლარს აღემატება. გადასახდელი თანხა, უმეტეს შემთხვევაში იმხელაა, რომ ფაქტობრივად, გამოგზავნილ ამანათს ხელმეორედ ყიდულობ. ბევრი ამანათებს იქვე ტოვებს, ან ფიქრობს, ფულს ვიშოვი და მერე გავიტანო. ამასობაში კი იმხელა ჯარიმას აკისრებენ, ამანათის გატანა აზრს კარგავს. დაბევრას თავი დაეანებოთ, იმდენი დეკლარაცია და ინვოისი გაქვს შესავსები, თავგზა აგებნევა, სამარადჟამოდ დაწყვევლი მას, ვინც ამანათი გამოგიგზავნა და იმ ცოდვის კალოში ჩაგადგმევინა ფეხი, რომელიც საბაჟოზე ტრიალებს.

ამ მცირე ხნის წინ ხელისუფლებამ საზეიმოდ გამოაცხადა, რომ გაიხსნებოდა მაღაზია, სადაც იაფად გაიყიდებოდა საბაჟოდან ამოღებული კონტრაბანდული საქონელი. ასეთი მაღაზიები მართლაც გაიხსნა, ჯერ ერთი, სიიაფისა რა მოგახსენოთ და მეორეც, აქ კონტრაბანდა კი არა, იმ ამანათებში ჩაწყობილი საქონელი იყიდება, რომელიც ხალხმა ვერ განაბაჟა, ან დროულად ვერ გაიტანა, დაჯარიმდნენ, ჯარიმაც ვერ გადაიხადეს და სახელმწიფომ ჩამოართვა.

საფოსტო გზავნილებისა და ამანათების უმეტესობა საქართველოში კომპანია „დიეჩელის“ საშუალებით ჩამოდის. მსოფლიოში სისწრაფით და საიმედოობით განთქმული ეს კომპანია, ქართულ ბაზარზე 1997 წლიდან არის და ჯერ მომდურავი არ ჰყოლია, თუმცა, ბოლო დროს საბაჟოზე შექმნილი ვითარება მათ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

კომპანია „დიეჩელის“ მენეჯერი მალხაზ ჰაპელაშვილი იმ პროცედურებზე გვესაუბრება, რომელიც უცხოეთიდან საქართველოში ჩამოსულმა ამანათმა ადრესატთან მისვლამდე უნდა გაიაროს.

## - ბატონო მალხაზ, რა სახის გზავნილების გაგზავნა შეიძლება „დიეჩელით“?

- გზავნილები არის რამდენიმე სახის. ეს არის ექსპრეს-გზავნილები, საჰაერო გზავნილები, საავიაციო ფრახტები და სახმელეთო ფრახტები. შეიძლება

ყველაფრის გაგზავნა და ყველაფრის მიღება 100 გრამიდან დაწყებული, 24 ტონით დამთავრებული. უბრალოდ, იმის მიხედვით, თუ მომსახურების რომელ სახეზეა საუბარი, შეიძლება იყოს რაიმე შეზღუდვები. ექსპრეს-გზავნილებში შეიძლება იყოს

რალაც შეზღუდვა საავიაციო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეიძლება საბაჟოზე იყოს რაიმე შეზღუდვა, თუმცა, არის სახიფათო ტვირთებიც, ანუ სპეციალური ფრანტი, რომლის გაგზავნის სპეციალური წესი და მეთოდი არსებობს.

მომსახურების სახეობის მიხედვით, სატრანზიტო ვადები სხვადასხვანაირია. მაგალითად, ჩინეთიდან კონტეინერი 45 დღე მოცურავს, ექსპრესი შეიძლება ჩამოვიდეს 2 დღეში. ვადები დამოკიდებულია საქონლის წონაზე, მომსახურების სახეობაზე და იმაზე, თუ რომელი ქვეყნიდან მოდის. ასევე ვითვალისწინებთ, თუ რა და როდის ჭირდება კლიენტს.

### - რაც შეეხება თქვენს ტარიფებს...

- დადგენილი ტარიფები არის მხოლოდ ექსპრეს-გზავნილებში, დანარჩენი ყველაფერი არის ინდივიდუალური, გადაანგარიშება ხდება იმის მიხედვით, თუ რა დროის განმავლობაში, რა ტრასპორტით და რა ქვეყნიდან მოცურავს.

### - განბაჟება რომელ გზავნილებს ეხება?

- განბაჟება ეხება ყველა გზავნილს, ანუ ფორმალურ საბაჟო პროცედურას გადის უბრალო წერილიც კი. ყველა გზავნილი შედის საბაჟოში და ხდება მისი გატარება სკანერზე. შეიძლება, გადასახადი არაფერი იყოს, მაგრამ საბაჟოზე და საზღვარზე მაინც ამოწმებენ, ხომ არ არის ეს ნარკოტიკი, ან რაიმე აკრძალული ნივთი.

გასაგზავნი საქონლის ან ნივთის დათვალეობა ხდება გაგზავნის დროსაც. ასეა ჩვენთანაც და ასეა საზღვარგარეთაც. გადამგზავნი კომპანიის წარმომადგენელთან უნდა განაცხადოთ, რას აგზავნით ამის შემდეგ უნდა დაიპლომბოს გზავნილი. დახურული გზავნილს კომპანია არ მიიღებს. ესეც ძირითადად საავიაციო უსაფრთხოების მოთხოვნაა. შეიძლება, გამგზავნმა არც კი იცოდეს და ისეთი რამე გააგზავნოს, რისი თვითმფრინავში შეტანაც აკრძალულია. ეს კონტროლი განსაკუთრებით გამკაცრდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ და დღითი დღე კიდევ უფრო ძლიერდება. მაგალითად, არასოდეს არ იყო, ახლა კი ბევრ აერპორტში ჩამორთმევას ექვემდებარება მაკრატელი, ქლიბი.

### - როგორც გავიგეთ, საბაჟო გადასახადი უკვე რამდენიმე თვეა ეხება საფოსტო გზავნილებსაც. იქნებ განგვიმარტოთ. როგორ იყო ადრე და რომელი გზავნილები იბეგრება ახლა საბაჟოზე?

- ფიზიკური პირი არ იბეგრებოდა 1500 ლარამდე ღირებულების საქონელზე, რომელიც არ იყო გათვალისწინებული კომერციული მიზნებისთვის. ასევე გამოგზავნილი ნივთები არ უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი. ანუ, ვთქვათ, რომ ყოფილიყო

3 ერთნაირი დიქტოფონი, რამდენიც უნდა გემტკიცებინათ, სამივე ჩემთვის მინდაო, გადასახადს მაინც გადაიხდიდით, რადგან ეს კომერციული მიზნებისთვის გათვალისწინებულ გზავნილად ჩაითვლებოდა. ასევე იყო მედიკამენტებზე, ხშირად ამის გამო გვექმნებოდა უხერხულობა, ვეჩხუბებოდით მებაჟეს, რომ ადამიანს მკურნალობის სრული კურსისთვის სჭირდება რამდენიმე ფლაკონი, ან ფირფიტა მედიკამენტი. მებაჟე თავს იმართლებს, რა ვქნა, კანონში ასე მიწერია, რომ ორი ერთგვაროვანი ნივთი ექვემდებარება განბაჟებას, თუნდაც ეს იყოს კალამი.

ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ კლიენტის ინტერესები. ტვირთის დათვალეობა და იმის განსაზღვრა თუ რა უნდა განბაჟდეს და რა -არა, ხდება კლიენტის მოსვლამდე. კლიენტი მერე იგებს, რომ ტვირთი ჩამოვიდა და საბაჟო პროცედურაა ჩასატარებელი.

### - ანუ ტვირთის დათვალეობის პროცესს თქვენნი წარმომადგენელი ესწრება?

- უმეტესწილად ჩვენ იქ ვართ და ვესწრებით ამ პროცესს, რომ რამე გაურკვევლობა არ მოხდეს, თუმცა, უცხოეთიდან საქართველოში თვითმფრინავები ძირითადად ღამის საათებში შემოდიან და მებაჟეს შეუძლია ღამით გააკეთოს ეს.

### - დაუბრუნდეთ საბაჟო გადასახადს, რომელი ტვირთები იბეგრება დღეს საბაჟოზე?

- როგორც ვითხარით, ადრე განბაჟებას ექვემდებარებოდა ტვირთი, რომლის ღირებულება აღემატებოდა 1500 ლარს. ახლა ეს ციფრი ჩამოვიდა 300 ლარამდე. ამ 300 ლარის ღირებულების ტვირთშიც შეიძლება იყოს რაიმე ისეთი ნივთი, რომლის გამოც შეიძლება პრობლემა შეიქმნას. მაგალითად, მედიკამენტი, რომლის ღირებულება არ აღემატება 300 ლარს, მაგრამ მოგთხოვენ ცნობას, რომ ეს წამალი საქართველოში არის რეგისტრირებული.

### - ამ ცნობას მედიკამენტებზე აფთიაქებსაც ადარ სთხოვენ, თუ რეგისტრირებულია ვეროპაში, აქაც ნებადართულია...

- დიახ, ითვლება, რომ რაც აფთიაქშია, ყველაფერი რეგისტრირებულია, მაგრამ კერძო პირს ამას სთხოვენ. შეიძლება ადამიანს სჭირდება ისეთი წამალი, რაც აქ არ არის რეგისტრირებული. მაშინ საბაჟოზე უნდა წარადგინოს ექიმის ცნობა, რომ აუცილებლად სჭირდება ეს წამალი. სხვათაშორის, ეს პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც არის. მაგალითად, ამერიკაში „დიმედროლს“ და „ვალიდოლს“ ვერ შეიტან, რადგან იქ დარეგისტრირებული არ არის. არადა, ამერიკაში საქართველოდან ბევრია წასული, რომელიც შეჩვეულია „ვალიდოლს“. ის ვერაფრით ვერ მიიღებს ამ წამალს, თუ ექიმის დანიშნულება არ აქვს.

**- როდესაც მე გავზავნი გზავნილს, რის თანხას ვიხდი ან რა თანხას იხდის ის პირი, რომელიც მე მიგზავნის გზავნილს?**

- პირი, რომელიც აგზავნის გზავნილს, იხდის მხოლოდ ტრანსპორტირების თანხას. სხვა გადასახადებს იხდის მიმღები. ეს გადასახადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. ჩვენთან, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო კანონმდებლობა იყო, როცა 1500 ლარამდე ღირებულების საქონელი არ იბეგრებოდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ეს ციფრი ჩამოსწიეს ძალიან დაბლა, 300 ლარამდე. ამას ემატება ისიც, რომ დეკლარაცია, რომელიც გზავნილის მიმღებმა უნდა შეავსოს, არ არის მარტივი.

**- მოდი, უფრო დაუკონკრეტო, თუ მე მივიღე გზავნილი, რომლის ღირებულება აღემატება 300 ლარს, რამდენი უნდა გადავიხადო?**

- საბაჟოზე გადასახდელია საბაჟო გადასახადი საქონლის ღირებულების 12%-ის ოდენობით, დღგ – 18%-ის ოდენობით და საბაჟო მოსაკრებელი, რომელიც 3000 ლარამდე ღირებულების საქონელზე არის 5 ევრო და 3000 ლარზე მეტი ღირებულების საქონელზე - 60 ევრო. არის ტვირთის გამონაკლისი სახეობები, რომელიც შეიძლება გათავისუფლებული იყოს დაბეგვისაგან, მაგალითად, რაღაც წამლებია გათავისუფლებული, მაგრამ მას ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვა სჭირდება, გათავისუფლებულია ბაშუთა კვება. აკერ უკვე 2-3 კვირაა ბევრი საქონელი გამოვიდა თავისუფალი რეჟიმიდან და დაბეგვრას დაექვემდებარა.

**- დღგ-ს ყველა იხდის?**

- დღგ-ს იხდი მაშინ, თუ საბაჟოზე ჩათვლიან, რომ ტვირთი, რომელიც შენ მიიღე განკუთვნილია ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც დღგ-თი დაბეგვრას ექვემდებარება.

**- ანუ, გამოდის, რომ თუ მე რაღაც საჩუქარს მიგზავნიან უცხოეთიდან, ის მაინც მე უნდა ვიყიდო?**

- საჩუქრის ცნება საბაჟო კანონმდებლობაში არ არსებობს 1998 წლიდან. გამომგავნმა რომც დაგიწეროს, რომ საჩუქრად გიგზავნის, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ეს „საჩუქარიც“ უნდა განაბაჟო. შეიძლება არ იყოს 300 ლარზე მეტის ღირებულების, მაგრამ იყოს ორი ერთნაირი ნივთი, ვთქვათ თქვენთვის და თქვენი დისთვის ან ძმისთვის, ესეც უნდა განაბაჟო.

**- ვინ აფასებს გამოგზავნილი საქონლის ღირებულებას?**

- აქაც ბევრი ხვდება საბაჟოს კლანჭებში. გზავნილის პირველი შემფასებელი არის გამოგზავნი, მან იცის, რა ღირებულების საქონელს გიგზავნით, ავსებს

ინვოისს, სადაც წერს, თუ რა ღირს ეს ნივთი, მაგრამ საბაჟოს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მას. ადრე იყო, მერე გაუქმდა და ახლა ისევ შემოვიდა ე.წ. სტატისტიკური ღირებულების ცნება. ანუ, საბაჟოს მიერ თქვენთვის გამოგზავნილი საქონლის შეფასებისას დადგენილი ციფრები ეფუძნება რაღაც სტატისტიკას და დეკლარაცია უნდა გააკეთოთ სწორედ ამ სტატისტიკური მონაცემებით. კიდევ უფრო დაწვრილებით რომ განვმარტოთ, ყველა ნივთს თავის კოდი ენიჭება, დეკლარაციის შევსების დროს კომპიუტერში ამოუარდება, რომ მისი სტატისტიკური ღირებულება არის, ვთქვათ, 100 დოლარი. თუ შენ არ ეთანხმები ამას და ამბობ, რომ ეს ღირს 50 დოლარი, უნდა დაწერო წერილი, გააგზავნო საგადასახადოში, ისინი განიხილავენ, ან „ხოს“ გეტყვიან და ან – „არას“. ამასობაში ტვირთი ინახება საბაჟოზე და ჩართულია შენახვის მრიცხველი, ანუ ემატება შენახვის ღირებულება და თუ თქვენ 10 დღეში საგადასახადოსგან 10 ან 50 დოლარით გათავისუფლებას მიაღწევთ, სამაგიეროდ, ამ 10 დღეში საბაჟოზე ტვირთის შენახვა შეიძლება 100 დოლარი დაგიჯდეთ. კერძო პირებისთვის ამის მიღწევა საერთოდ გამორიცხულია. ფინანსთა სამინისტროს საიტზე არ დევს ინფორმაცია, თუ რა რა ღირს. ბიზნესმენებს კი ბროკერებისა და დეკლარანტების საშუალებით მიუწვდებათ ამაზე ხელი და უფრო მოშინებულები არიან. როცა ტვირთი უკვე საბაჟო საზღვარზეა, იქ ვერაფერს გააკეთებ, შეიძლება პირიქით, ისეთი ჯარიმები აიკიდო, რასაც ვერ წარმოიდგენ. მაგალითად, თუ 20 დღის განმავლობაში არ განაბაჟებ საქონელს, ამაზე 500 ლარიანი ჯარიმაა.

**- ვთქვათ, მყავს ახლობელი უცხოეთში, რომელსაც უნდა მასია მოვროს და გამომიგზავნა ამანათი. მე არ აღმომაჩნდა მისი განბაჟების საშუალება, რა მოხდება?**

- თუ 20 დღის განმავლობაში ამ ტვირთს არ წაიღებ, ავტომატურად 500 ლარიანი ჯარიმა გაქვს. ამის შემდეგ უნდა დაწერო განცხადება, რომ ვერ იშოვე ფული და კიდევ 20 დღე კიდევ გაგიგრძელონ. ამ ვადას უკვე ვეღარ გადააცილებ. მაშინ თავიდანვე უნდა დაწერო განცხადება, რომ მასზე უარს ამბობ.

**- და ამანათი უკან დაბრუნდება?**

- არა, თქვენი ამანათი მიაქვს სახელმწიფოს. უარის თქმა გულისხმობს მის სახელმწიფო სარეგებლობაში გადაცემას. თუ გინდა, რომ გამოგზავნის უკან დაუბრუნდეს, მაშინ უნდა დაწერო განცხადება, რომ უარს არამბობ არა სახელმწიფოს სასარეგებლოდ, არამედ გინდა, უკან დააბრუნო, მაგრამ ამ შემთხვევაში უკან დასაბრუნებლად ტრანსპორტირების ხარჯები თავად უნდა აანაზღაურო, რადგან გადაგზავნ

კომპანიას თავისი მოვალეობა ერთხელ უკვე შესრულებული აქვს. ამანათის გამოგზავნისთვის დაბრუნება შეიძლება იმაზე ძვირი დაგიჯდეთ, ვიდრე განბაჟებაა.

## **- გამოდის, რომ გამოგზავნილი ამანათი „დიქელს“ სახლში ვერ მოაქვს?**

- სახლში მიტანა პრობლემა არ არის, თუ კი საქონელი განბაჟებულია. უბრალოდ, განბაჟების პროცედურას თავად უნდა დაესწროთ და ამისთვის მაინც გიწვეთ საბაჟოზე მისვლა. ჩვენც ვთავაზობთ კლიენტებს, რა ურჩევნიათ, თავად განბაჟოს ტვირთი, თუ ჩვენმა წარმომადგენელმა. როცა კლიენტი თავად მიდის განსაბაჟებლად და გაივლის საბაჟოზე იმ ქარცეცხლს, ძალიან მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს, რომ ამანათი ისე იქ დატოვოს. ექსპრეს-გზავნილების წონა ძირითადად 5 კილოგრამს არ აღემატება, მაგრამ თუ ტვირთი მძიმეა და თავად ვერ წაიღებს სახლში, განბაჟების შემდეგ, კურიერები მიუტანენ.

## **- საინტერესოა, სხვა ქვეყნების კანონმდებლობით როგორ რეგულირდება საფოსტო გზავნილების დაბეგვრა?**

- მე ვიცნობ ამაზე უფრო ცუდ კანონმდებლობასაც და უფრო კარგ კანონმდებლობასაც.

## **- რომელ ქვეყნებშია უფრო ცუდი და რომელში - უფრო კარგი?**

- ამაზე ცუდი არის ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. იემენზე და აფრიკაზე აღარ ვლაპარაკობ. ჩვენზე უარესი მდგომარეობაა აზერბაიჯანში, უზბეკეთში, უკრაინაში, უარესი იყო რუსეთში, თუმცა, ერთი თვის წინ, როცა ჩვენთან დასაბეგრი გზავნილის ღირებულება 1500-დან 300-მდე ჩამოვიდა, რუსეთში 100 დოლარიდან 1000 დოლარამდე ასწიეს.

საბაჟო ყველგან მძიმე ორგანოა, გადასახადების თვალსაზრისით შეიძლება ბევრგან ჩვენზე უარესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ აქ საუბარია სხვა რამეზეც, კერძოდ იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულია ეს პროცედურა ადამიანისთვის. კლიენტს პრეტენზია სწორედ იმაზე აქვს, იმ დღეს უწევს სამსახურის გაცდენა, უწევს მთელი დღის დაკარგვა, ათასი ფურცლის შევსება, მერე შეავსებ და შეიძლება, არ მოეწონოთ, რაღაც მიზეზით უარი გითხრან.

ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა საიტი, თქვენ შეგიძლიათ იყოთ სახლში, ამ საიტით შეავსოთ დეკლარაცია, საიტზე მითითებულია სად რა გადარიცხოთ, როცა ფულს გადარიცხავთ, მერე შეგიძლიათ დარეკოთ, საბაჟოზე გადაამოწმებენ, ჩაირიცხა თუ არა თანხა და კურიერები სახლში მოიტანენ თქვენს ტვირთს, მაგრამ ინტერნეტით ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც ამაზე არის სპეციალიზირებული -საქონლის კოდიფიკაცია უნდა იცოდეთ, უნდა განსაზღვრო

კონკრეტულად რა გაქვს გადასახადელი, დღე, საბაჟო გადასახადი თუ საბაჟო მოსაკრებელი... თუ რაიმე შეგეშალა, ჩაითვლება, რომ საგადასახადო მოატყუე და ამაზე კიდევ ჯარიმაა. არ არის ისეთი მიდგომა, რომ ადამიანს, რომელსაც ასეთი უფლება მიეცი, შეიძლება რაიმე შეეშალოს.

## **- ეს ყველაფერი როგორ მოქმედებს თქვენი კლიენტების რაოდენობაზე?**

- რაც უნდა დამძიმდეს პირობები, კლიენტების რაღაც რაოდენობა ყოველთვის იქნება, მაგრამ რაც მეტი თავისუფლებაა, მეტია კლიენტიც. რომ ვთქვა კარგად მოქმედებს- მეტი, ხომ არ დამიჯერებთ? საგადასახადო კანონის გამკაცრება მოქმედებს ცუდად, არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ ბიზნესზე. რაც მეტი გადასახადი იქნება, უფრო მეტად შემცირდება ბიზნესი.

## **- რუსეთში ან რუსეთიდან გზავნილებზე პრობლემები ხომ არ გექმნებათ?**

- აქ პრობლემა ის არის, რომ პირდაპირი კავშირები აღარ გვაქვს. საბუთების და დოკუმენტაციის გაგზავნა უფრო იოლია, რაც შეეხება სხვა ტვირთებს, ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ კლიენტებს, რომ არც მიიღონ და არც გააგზავნონ, თუ რაღაც ძალიან აუცილებელი არ არის.

## **- რატომ აძლევთ ასეთ რეკომენდაციას?**

- იმიტომ, რომ როცა რუსეთის საბაჟოზე ქართველს დაინახავენ, ძალიან აწვალენ. ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ მზად იყავით პრობლემებისთვის.

## **- მსოფლიოს ყველა წერტილში აგზავნით გზავნილებს?**

- თუ კი რაიმე ოფიციალურად აღიარებული ტერიტორიაა, ყველგან. მალე მთვარეზეც გაგზავნით. (ეღიმება).

**P.S.** ამანათების მთვარეზე გაგზავნისა, რა მოგახსენოთ, მე კი უმორჩილესად ვთხოვ უცხოეთში მყოფ ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს: - არ გამოგიგზავნოთ ამანათი!

და კიდევ ერთი, ერთდეთ უცხოეთიდან გამოგზავნილ ამანათებს! იგი შეიძლება თქვენი მტრების გამოგზავნილი აღმოჩნდეს, რადგან ასეთი საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის პირობებში მოკეთე ნამდვილად არ გააკეთებს ამას.

ესაუბრა  
თეა ასათიანი

ასე მგონია, ბედისწერის წინაშე ვდგები. ვერ წარმოვიდგენდი, თუ აი, ასეთ ადვილ კაცზე ასე ძნელი იქნებოდა ლაპარაკი. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი და არ ვიცი, რანაირად ჩავტეო ერთ საუბარში.

ჩემი ნაცნობობა რეზოსთან, რომელიც მიმაჩნდა უახლოეს და უსათუთეს მეგობრად, დაიწყო „ვილაცით“.

ფიზიკის ფაკულტეტის I კურსზე ვსწავლობდი. ყვებოდნენ ამბავს, - ფილოლოგიის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებზე ვილაც გამოჩნდა, ფანტასტიკური მოთხრობების ავტორი, ნიკო კეცხოველი საოცრად მოხიბლულია მისით. დამთავრდა



გამოცდები და ნიკომ აღმოაჩინა, რომ ეს პიროვნება გაქრა. გამოირკვა, რომ შუა გამოცდებიდან წასულა, რადგან შეუმჩნევეა, საჭირო ქულებს ვერ აგროვებდა. სად წავიდა? როგორ? ყურმოკრული ჰქონდათ უჯარმა, მისი სოფლის სახელი. კეცხოველი თვითონ ჩასულა უჯარმაში მის სამეზობლოდ, ჩამოუყვანია და პირველ კურსზე დაუსვამს.

ნიკო „პირველ სხივზე“ ფანტასტიკურად იყო შეყვარებული. ფაქტიურად, ბესო ჟღენტთან და ტარიელ კვანჭილაშვილთან ერთად, ისიც ხელმძღვანელობდა ამ ჟურნალს. ამ ამბის მოსმენამ ძალიან მასიამოვნა. რატომ იცით? ჩამინერგა იმედი, თუ მე როგორმე დავუახლოვდები ნიკო კეცხოველს, თავს მოაწონებდი, ის გადამიყვანდა ფაკულტეტზე, რომელზედაც მინდოდა შესვლა, ანუ ჟურნალისტიკაზე. ეს ამბავი თქვენ უკვე იცით, როგორ ვიდექი მთელი დამე რიგში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე საბუთების შესატანად და დილით ფიზიკაზე აღმოვჩნდი. ამიტომ ხელახლა დაწვრილებით აღარ მოგიყვებით, მშობლების, მრავალრიცხოვანი დეიდა-ბიცოლების ამაღლის მიუხედავად, როგორ შემომეფანტა გამთენიისას ყველა და ხალხის ტალღამ კედელს მიმაჭყლიტა, ძლივს გამოვადწიე სამშვიდობოს. მერე, შემთხვევით შეხვედრილმა მეგობარმა მითხრა, აი, იმ ფანჯარაში საბუთების მიღება ურიგოდ არისო, ოღონდ ის აღარ აუხსნია, საბუთების იქ ჩაბარებით მხოლოდ ფიზიკის ფაკულტეტზე მოხვედრა რომ შეიძლებოდა. ამ თავგადასავლის გამხელა მაინცდამაინც არ მინდოდა. შემთხვევით მოხვდი, როგორ, დებილი ხარ? ჰოდა, ჩავებლაუჭე ამ იმედს. ყური ვცქვიტე, როცა გავიგე, თვითონ კეცხოველი წავიდა უჯარმაში ვილაცის

სამეზობლოდ.

ის „ვილაც“ რეზო ინანიშვილი აღმოჩნდა. სულ მალე ძალიან დაუახლოვდით. გავიგეთ თუ არა, რომ უნივერსიტეტში დრამწერე მუშაობდა, მივაშურე. გაეხდი კლუბის წევრი, შეიძლება ითქვას, შვილობილი, რადგან ყველაზე უმცროსი ვიყავი.

ახლა, იმის შესახებ, როგორ მოხვდა კლუბში თავად რეზო ინანიშვილი. დრამწერეს გოგი კობიაშვილი ხელმძღვანელობდა. გოგოლის „რევიზორი“ დავდგი, სადაც მე დობჩინსკი ვითამაშე და, სხვათა შორის, I ადგილი ავიღე რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. ერთხელაც, გავდივართ რეპეტიციას სცენაზე, დარბაზში ზის კობიაშვილი, მის გვერდით კი ვილაც უცნაური ტიპი, რომელიც გვისწორებს ქართულს, ნიკოს სპეციალური მითითებით. ასე გავიცანი რეზო ინანიშვილი. სამუდამოდ დავმეგობრდით. უკვე გითხარით, ყველანი ჩემზე უფროსები იყვნენ. ნოდარ დუმბაძე ცოტათი უფრო მეტით, რეზო - ნაკლებით. ჩემს მიმართ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. ის დაფიცებაც, რეზო ესამეს თავს გაფიცებთო, ამათ შორის იყო, პირველ რიგში.

ამის შემდეგ, ჩამოყალიბდა „ჭინჭარი“. მე უკვე დობჩინსკით ისე გამოვიჩინე თავი, ნიკოს ველაპარაკები. მისი მხედველობის არეში ვარ მოხვედრილი. თუმცა, ჩვენი პირველი დიალოგი მოხდა არა „რევიზორთან“ დაკავშირებით, არამედ სულ სხვა მიზეზით.

რალაც დღესასწაული ახლოვდებოდა, არ მახსოვს ზუსტად რა. შემთხვევით შევედი დარბაზში. პარტერი ცარიელი იყო, ერთადერთი კაცი, ნიკო კეცხოველი იდგა და თვალყურს ადევნებდა როგორ



რთავდნენ სცენას. პრეზიდენტი უკან, სიღრმეში იყო, წინა მხარეს კი, რამდენიმე ადამიანი ქოთნის ყვავილებს აწყოდა. მივესალმე ბატონ ნიკოს და შორიახლოს გავჩერდი. მომეჩვენა, რომ ქოთნები სცენაზე ძალიან ასიმეტრიულად იყო განლაგებული და ხმამაღლა გამოეთქვი აზრი. ნიკომ გადმომხედა და მითხრა, იქნებ ასე ჯობიაო. სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში ეს ნათქვამი. ალბათ ვერც ერთი წიგნი ვერ განმიმარტავდა ასე ასიმეტრიულობის უპირატესობას სიმეტრიისადმი, როგორც იმ ერთმა ფრაზამ.

დაარსდა „ჭინჭარი“ და რედაქტორად ქართლოს კასრაძე დანიშნეს. მე მხატვრად მიმიწვიეს. უკვე იცოდნენ რომ ხატვის ნიჭი მქონდა. ცოტა მოგვიანებით, მე და რეზო ინანიშვილი ერთად ვხატავდით უნივერსიტეტის სხვენში, სადაც ხატვის წრე გაიხსნა.

ბარამიძე გვასწავლიდა ხატვას, გამოფენებიც გვქონდა. რეზოს ძალიან უყვარდა ჩემი ნახატები. ქართლოსმა რომ უნივერსიტეტი დაამთავრა, ვახტანგ გოგოლაშვილი გახდა „ჭინჭრის“ რედაქტორი, მერე დიდმელაშვილი და ბოლოს მე. მოადგილეებად ნოდარ ღუმბაძე და რეზო ინანიშვილი მყავდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ?! ხშირად ვესწრებოდი „პირველი სხივის“ სხდომებსაც. იმ დროს მინიატურებს ვწერდი, ძალიან სენტიმენტალურს და გულისამაჩუყებელს. მივიტანე ეს ჩემი მინიატურები „პირველ სხივში“ და მითხრეს, შენ თვითონ ამოირჩიე, რეცენზენტად ვინ გინდაო. რა თქმა უნდა, რეზო-მეთქი, ძმაცაცია ჩემი, თანაც მოადგილეა „ჭინჭარში“. დარწმუნებული ვარ, ისეთ რეცენზიას დაწერს, ტაშით და ზარზედებით შეგვრიალდები „პირველ სხივში“. დადგა განხილვის დღეც. ყველა ესწრება - მუხრან მაჭავარიანი, ჭილაძეები, ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიციანი...

მე რეზომ გამაუთავა!.. ერთი ნამცეცით არ დაშზოგა, აღარაფერი დატოვა ჩემგან. ისეთი გულმოდგინებით, შარვალს რომ უთოთი ხაზს გაუკეთებენ და ერთი თვე არ მოიშლება. დაამთავრა თუ არა, მომაშურა, გეწყინაო?! არა, არათუ მეწყინა, სრულებით არ მიფიქრია რას ლაპარაკობდი, მხოლოდ გიყურებდი და შენზე ვფიქრობდი-თქო.

- როგორ, - გაუკვირდა.  
- იმ შენი ლაპარაკის დროს, წარბებს შორის, გონების თვალთან რომ იყრიდა თავს მთელი შენი სახე და იქედან თითქოს მზის სხივები გამოდიოდა, ბავშვობიდან საყვარელ და სანუკვარ ვიდაცას თუ რაღაცას მომაგონებდი. ბოლოს გამახსენდა! ბაბუაჩემს სკა წითელზე ჰქონდა მალა, - ცქვიტა ყურები რეზომ, იმას სულ გამახვილებული ჰქონდა სმენა, იწერდა კიდევ საინტერესო ამბებს, - ხშირად მიყვავდი ხოლმე, თაფლის ადების დრო რომ მოვიდოდა. ერთხელაც,

წამიყვანა. მახსოვს, წყნარი დღე იყო, შემოდგომის საღი, მშრალი ფოთლები ეყარა მუხლამდე და იმ ფოთლებში კიდევ წიწიბურა, წიფლის ხის ნაყოფი. ეს ნაყარი გამახსენდა, შენს თვალებში რომ ყველაფერი ერთიანდებოდა, თან მლანძღავდი და თან იღიმებოდი და ისე ძალიან მიყვარდი ამ დროს, წუთით არ მიფიქრია განაწყენება- თქო. იქვე, მის თვალწინ გავანადგურე ჩემი მინიატურები მთლიანად.

წახალისებულმა იმით, რომ კეცხოველმა ასე დააბრუნა უნივერსიტეტში რეზო, ნიკოსთან შესვლა გადავწყვიტე, რეზომაც მირჩია, წამათამაშა, სთხოვე გადაყვანაო. დედაჩემი მიუგუზაუნე და კი იცით თქვენ უკვე, როგორი ფიასკოთი დამთავრდა ეს ამბავი.

ცოტა ხანში გამოვიდა რეზოს მოთხრობების პირველი წიგნი. მე ის მაქვს წარწერით, მთელი ამბებით. შემდეგ მე წავედი, დაეშორდი, არა მარტო მას - ჯერ მოსკოვში, მერე ლენინგრადში. მახსენდება, ჩავალ თუ არა თბილისში, რეზოს ერთი მოთხრობა აუცილებლად უნდა გადავიღო! უფრო სწორად, პიესა - „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“.

ლენინგრადშივე დაწერილი მქონდა უკვე სცენარი. ჩამოვედი. ჯერ რეზო ჩხეიძეს მოველაპარაკე, მერე მივედი რეზო ინანიშვილთან, სცენარი ვაჩვენე. ის შეყვარებული იყო ყველა თავის ნაწარმოებზე, ვინმეს მის დალაგებულ წინადადებაში თითო რომ შეეყო, დიდ უბედურებად მიანდა... მე სცენარს ვიწყებდი რეზოს ერთი პატარა მოთხრობით - „ქალი და კაცი“. გახსოვთ ალბათ, ზამთარია, ცივა, მელა ყმუის ბუჩქიდან, ქალი კაცს ეკითხება რა აყმუვლებსო და მარტობა სტკივაო. - კაცი პასუხობს. ეს მოთხრობა შევარჩიე, რადგან თვითონ პიესის შინაარსიც ასე მესმოდა, - ის ადამიანები წისქვილში მართლა სიმინდის დასაფქვავად კი არ მიდიან, მარტობის განსაღვენად, მიწის ძახილი, სოფლის მონატრება, ადამიანებთან ურთიერთობის სურვილია იქ მთავარი. სცენარი რეზოს სახლში მიუტანე, დილით, ადრე. ვუთხარი, რეზო! მე შენს ნაწარმოებებზე უნდა გავაკეთო ფილმი, - გაუბრწყინდა თვალები. - ახლა მოგიტანე სცენარი და იცოდე, სიტყვა არ გაექანება აქედან-თქო, ამ დროს რეზო თავდავიწყებით არის შეყვარებული ჩემ „ერთი ნახვით შეყვარებაზე“, სასწაულად მოსწონს ეს ფილმი. სადამოს თვითონ მომძებნა და მითხრა, ეს არის უბრწყინვალესი, წერტილსაც არ შეგისწორებო და გადამკონცა. მე მამა მყავდა მომსახიობო კაცი. მიუხედავად იმისა, რომ პელაგოგი იყო, სოფლის სკოლის დირექტორი, განათლების განყოფილების გამგის მოადგილე, მან გურიამი, ჩვენს სოფელში ისტორია დატოვა. დედაჩემი და მამაჩემი ალგეროებს მართავდნენ. დედა ძალიან ლამაზი მყავდა, მამა - წარმოსადგევი. ნესტორა სიმონიშვილი იყო, ცნობილი მომღერლის ვარლამ სიმონიშვილის ვაჟი. ბლავუნიე

ნესტორას ეძახდნენ. ნესტორამ განსაზღვრა ჩემი არ მოხვედრა ისტორიის ფაკულტეტზე. სკოლა რომ დაემათავრე ოქროს მედალზე, ჩემთვის ყველა სასწავლებლის კარი ღია იყო. შეიკრიბა საოჯახო კონსილიუმი, უნდა დაადგინონ, სად ვისწავლო, გეოგრაფიულზეო, თქვა ერთმა. მაგას სწავლა რათ უნდა, გეიარგამეიაროს, თვალს წყალი დააღვიოს, გარემო დაათვალიეროს და გეოგრაფია იქნებაო, - უპასუხეს. აბა ისტორიულზეო და, ამ დროს ბიძაჩემმა, ვაიმე, ბლაცუნე ნესტორე უნდა გამევიდეო, შეიცხადა, ისტორიის მასწავლებელი იყო ნესტორა. მაგრამ იმასაც, ჩემი მშობლებივით, ძალიან უყვარდა სცენა. ვერ თამაშობდა, მაინც არ იტეხდა ისტიბარს, ტაშტი ეკიდა კულისებში, სცენაზე რო თოფს „გაისვრიდნენ“, ნესტორა იქ ტუკს მოქაჩავდა (გურულები ტუკს ვეძახით თოკს) და გაისმოდა „სროლის ხმა“.

ერთხელაც, დედაჩემმა მამაჩემს სცენაზე „უღალატა“, შეყვარებულებს თამაშობდნენ. შემოვარდა მამაჩემი ფილთა თოფით, ჰაიტი, შე ასეთო და ისეთო და... მართლა არ გავარდა თოფი!.. გაგიჟდა ნესტორა, იმიტომ რომ ტუკი არ დაურტყამს და თოფის ხმა კი გაისმა. დედაჩემის კვიცილი და ნესტორას ფანჯრიდან გადახტომა ერთი იყო. დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა, ნესტორას ერთი კვირა ეძებდნენ.

აი, ასეთი მამა მყავდა. ძალიან სერიოზული და ხუმარა, ერთდროულად. სკოლაში სულ სხვა კაცი იყო, სახლში - სულ სხვა. ჩემს თანაკლასელ ზურა მახარაძესთან (რომელიც ახლა ვაჟა-ფშაველაზე არქივის დირექტორია) ერთად სახლში ცეკვავდა, მაგრამ სკოლაში რომ გამოჩნდებოდა, ზურაც და მეც აკრული ვიყავით კედელზე. მამაჩემის დაბრუნება მოვინდომე სცენაზე. უფრო სწორად, კინოში გადაღება. გავუტყდი, ასე ვაპირებ-მეთქი. მამა გიჟდებოდა რეზოს მოთხრობებზე, ჭამდა, კი არ კითხულობდა. პროფესორის როლი შევარჩიე მისთვის. ახლა აღარ მახსოვს, რა ქვია იმ პროფესორს რეზოს პიესაში. მაგრამ მე გმირს პარმენი დავარქვი, მამაჩემის გამო, მერე ეს როლი მსახიობმა ვაშაძემ შეასრულა. მამამ თავდაპირველად ვითომ ფარსი გაითამაშა. სადღა შემიძლია, შვილო, ჩემ ასაკში ეგ ამბავიო, დიდი პასუხისმგებლობაა, მე გავაფუჭებ როლს და შენ რატომ უნდა გარისკო ასეო. მაგრამ ვხედავ, ბედნიერებისაგან აღარაა. მეორე თუ მესამე მისვლაზე დამთანხდა. იმ დროს უკვე მშობლებთან აღარ ვცხოვრობდი. სწავლობს პარმენი როლს: აუცილებლად მოგიტანთ და გაჩვენებთ მის საერთო რეჟულს, მთლიანადაა თითქმის გადაწერილი პიესა. ვუთხარი, გამოცდილი ხარ, დალოცვილო, სცენაზე გითამაშია, რათ გინდა ამის სწავლება, პარტნიორის მთელ ფრაზას რატო წერ, რემარკის ბოლო უნდა

ჩაწერო... - არაო, მამაო, ასეა საჭიროო. თურმე, ზეპირად იცის თავისი სათქმელიც და პარტნიორისაც. დედაჩემი მიყვება: ღამე, შუქს რომ ჩააქრობენ, მამა ზეპირად უამბობს მთელ პიესას ბნელში. ამის გარეშე არ იძინებენ. მოვიდა სინჯების დრო. სამხატვრო საბჭომ უნდა დაამტკიცოს როლებზე მსახიობები. რამდენად შეეფერება სახეს, როგორ უჭირავს თავი, ყველაფერს ითვალისწინებენ. მივედი მამასთან, - აბა, მოვიდა დრო-თქო, ვუთხარი. - ვაიმე, მამა, რაის დრო მოვიდაო. - აბა რისთვის სწავლობდი შე კაცი კაცო, მაგ როლს, ახლა სინჯები უნდა გავაკეთოთ-თქო. - ვაიმე, მამა, რაა მაგიო. - რაა და, გავალთ სადმე, ნატურაში, ამოვარჩევ სცენარიდან ერთ მონაკვეთს, მე კადრს გარეთ დაეღებები, წარმოიდგინე, რომ შენი პარტნიორი ვარ, რეპლიკას მოგცემ და შენ უნდა მიპასუხო. - ვაიმე, შენ გარდა, კიდე ვინ იქნება იქანეო. - ვინ და, ერთი ორმოცდაათი კაცი მაინც. ოპერატორი, განმანათლებელი, ხმის ჩამწერი, ასისტენტები თავისთავად, მერე კიდე გარეშე მაყურებელსაც ხომ ვერ აუკრძალავ, არ გვიყუროო. - არ შეიძლება, შვილო, მე და შენ ვიყოთ მარტოო, - მამა.

- კაცო, პირველად ხომ არ გესმის, მე როგორ ვმუშაობ, ტელევიზორშიც ხომ გინახია, როცა ფილმს იღებენ, რამდენი ხალხია იმ დროს გადაღების ადგილზე-თქო. შეუტია დედაჩემმაც. აბა ამხელა კაცი რას ფიქრობდიო. რამდენი ხანია არ მიძინია, გასწორებული მქონდა დღე და ღამე, სანამდღე ამსიგრძე პიესის ჩაზუთხვას მოახერხებდიო. ბოლოს, ერთიღა მკითხა მამამ, არ შეიძლება დედაშენი წამოვიყვანო თანო?

- ვინც გინდა, ის წამოვიყვანე, ოღონდ შენ წამოდი-თქო.

ამ დროს, რეზოს ისე უხარია, მამაჩემს იცნობს, უყვარს.

შუალამეზე დედა მირეკავს, მიშველე, მამაშენია ცუდადო. გაუქანდი იმ წუთში. წვეს გამტკნარებული, ჩავძახი,

- მამა! მამა! ჩემო მამა! - გიღალატე მამა! გიღალატე, - მესმის მისგან.

- ოღონდ შენ მყავდე კარგად, არ გიღალატია, არა! რამომხდარა, ახლა. ჩაუქრიათ სინათლე, დაწოლილან. დაუწყია ამას ჩარაკრაკება, როგორც ყოველთვის და... გაეჭვდა. აუნთია სინათლე, წაუკითხავს, დაწოლილა და გაუგრძელებია. გაეჭვდა, თურმე, ისევ... კიდევ აუნთია, წაუკითხავს, დაწოლილა. ასე ათჯერ და გახდა კაცი ცუდად.

- მამა გიღალატე! - მიმეორებს.

- მამა, შენ მყავდე კარგად, - ვეფერები, - მე მინდოდა, რომ შენ გეთამაშა, თორემ შემცვლელის მეტს რას ვიშოვი.

- მეც მინდოდა, შვილო, ძალიან მიყვარს რეზო.  
(მაჩვენა მერე, შეუღლებია რეზო ინანიშვილის  
სიტყვათა ლექსიკონი, მეტი არაფერი გინდა  
ქართველ კაცს, არც პური, ამას დეიჭერ ხელში და  
წეიკითხავო).

- რას იზამ ახლა შენ?

- ვაშაძეს ვათამაშებ-თქო. უცებ, იმ წუთში მომივიდა  
თავში ამ მსახიობის გვარი.

- ეგ რომელია მამა, რეზო ჩხეიძის ფილმში რომ  
თამაშობსო?

- კი-მეთქი, ვუთხარი.

- მაგი კაიასო, - მითხრა, - მაპატიე მეო. თავის  
შერცხვენას, ჯობია, ასე მევიცეთო.

უფრო წყნარად იქნები შენც, ნამეტანი გაგანერვიულე  
ახლა ბიჭო. მე მაღლობელი ვარ შენი, რომ ამ  
სიტყვებში ჩემი ახალგაზრდობის ოცნებასთან ასეთი  
გამომშვიდობების საშუალება მომეცო.

იქით დედა ტირის, აქეთ - ეს.

ეს ამბავი რეზოს მოუყვები. წარმოიდგინეთ, რა  
დაემართა. მოვიდა, ნახა მამაჩემი.

უნდა მოგესმინათ ამათი დიალოგი და რეზოსმიერი  
შეფასება მამასი. იმ ერთი საათის განმავლობაში,  
აღბათ, სულ ორი წინადადება თქვა მამაჩემმა. რეზომ  
მითხრა, - რა მოლაპარაკე კაცი ყოფილა, ისეთი  
შთაბეჭდილება მაქვს, სულ ეგ ლაპარაკობდაო.

მამა ორ წელიწადში გარდაიცვალა. არასდროს  
დამავიწყდება, რეზო პანაშვილებზე სულ ჩემს  
გვერდით იდგა, ერთად გვართმევდნენ ხელს.

ძალიან მთხოვდა რეზო მამინ, რომ პროფესორის  
როლი მამაჩემისთვის მიმეცა. მე არ გაუაკეთე ეს,  
ძალა ვერ დავატანე და სატკივრად დამრჩა. ისეთი  
ნაჯაფი რვეულია ის როლის რვეული, ცრემლები  
წამოგცვივათ. ადგილები სხვადასხვა ფერის პასტიტაა  
გახაზული, გვერდებზე შენიშვნებია მიწერილი.

მამამ ფილმი ნახა და მოეწონა. ძალიან მოეწონა  
ვაშაძე. მე იმას ვუთხარი მამაჩემზე.

ვაშაძის და მამაჩემის ერთად გადაღებული ფოტოც  
მაქვს სადღაც სახლში. ვაჟაზეა გადაღებული, ჩვენი  
სახლის წინ. ისე მოხდა, სახლში არ შემოვიდა მამინ  
ვაშაძე ჩვენთან.

რეზოსაც მიაჩნდა, რომ ეს მისი ერთ-ერთი  
ყველაზე საყვარელი სურათი იყო.

ძალიან განიცდიდა, როცა მოსკოვში, ფილმის  
დამტკიცებისას, ის თავსართი მომიჭრეს, მოთხრობის  
მიხედვით გაკეთებული. სულ მეუბნებოდა, ტყუილად  
გეშინოდა, როცა სცენარი მოგქონდა, ის მოთხრობა  
ძალიან ორგანულად იჯდა აქო.

სხვა მომენტებიც იყო. მე არ მინდოდა ეს  
ყოფილიყო პირდაპირი თხრობა, როგორც დაწერილია;  
სხვანაირად განხორციელებას ვაპირებდი, ფილმის  
გადაღების პროცესის ჩვენება მინდოდა. მთავარ

გმირს, მთხრობელს, რომელიც არის რეზო, მოაქვს  
ამბავი.

თითქოს სიზმარი ნახა და დანარჩენები, მასთან  
ერთად, ამ სიზმრის მონაწილეები არიან.

ესაა ნოსტალგია ერთ დროს არსებულზე, რომელიც  
გახდა სანატრელი. კი, ბატონო, მსახიობები როლებს  
ანსახიერებენ, ხასიათები აქვთ, მაგრამ თვითონ  
ფილმი ქრონიკის სახისაა. სამუშაოს შეგრძნება  
უნდა ყოფილიყო იმის ჩვენებით, ეს ადამიანები,  
მსახიობები, როგორ ცდილობენ რეზო ინანიშვილის  
მოტანას თქვენამდე. ეს კი მიიღწეოდა კადრში  
აპარატის ხმაურით, მსახიობთა შავად ნამუშევარის,  
ერთმანეთთან გადალაპარაკების ჩართვით. თვითონ  
რეზოს როგორ მოუვიდა თავში პიესის დაწერა, ესეც  
უნდა მეჩვენებინა.

თანაც, მინდოდა, რაც შეიძლება ნაკლები  
ყოფილიყო კინოს აქსესუარები - მუსიკა...

არ მომცეს ამის საშუალება. ესაა ოსტანკინოს  
შეკვეთა, სატელევიზიო უნდა იყოს და თანაც,  
აუცილებლად რუსულადო.

ფანტასტიური დიალოგები იყო. ვაშაძე და  
თვალაშვილი, გახსოვთ ალბათ, პატარა ქალი იყო,  
ასანთის ღერებზე ფეხებით, კეთილი, კეთილი,  
ბავშვური სახით, არაჩვეულებრივად თამაშობდნენ.  
თვალაშვილს სკლეროზი სჭირდა, სიტყვები  
ავიწყდებოდა. ცდილობდა, ეს არ შეემჩნია. პაუზებს  
აკეთებდა.

ფრანგებს მიაჩნდათ, რომ ეს იყო ჩემი საუკეთესო  
ფილმი, როდესაც იმ პირველ ვარიანტში ნახეს,  
მიუხედავად იმისა, შავი მასალა მოცილებული ჰქონდა  
უკვე, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტი დასაწყისში ჯერ  
კიდევ ჩანდა. იყო ასეთი ფრანგი კინოკრიტიკოსი,  
რადვანი, ეს იმის შეფასება გახლდათ. მაგრამ ბევრი  
რამ დაკარგა სურათმა ის ქალი და კაცი რომ  
მოაშორეს, თვალაშვილის ეფექტი მოაშორეს, შავ  
მასალაზე აღარაფერს ვამბობ.

ეს თვალაშვილი მერე, რუსულად როგორ  
ახმოვანებდა ფილმს იცით?! მისი ჯერი რომ მოვიდოდა,  
მხრებზე ვუჭერდი ხელს და ასე ვანიშნებდი.

მართალია შესავალი მოაცილეს, მაგრამ  
მე მაინც მოვიფიქრე რაღაც, რამაც გარკვეული  
განწყობილება შექმნა. საამისოდ ერთმა შემთხვევამ  
მიბიძგა:

გვიანი შემოდგომაა. ავტობუსით მივდივართ  
ყვარულში. ეროვნული მოძრაობის დროა; მამინ  
ვაქტიურობდი ამ ამბებში. იქ უკანონოდ ჩასახლებული  
ლექსების გასახლებაზე ვმუშაობდით, მეგობრულად,  
პირზე კოცნით ვისტუმრებდით, მაგრამ ამაზე სხვა  
დროს.

ავტობუსი გაჩერდა ერთ უკაცრიელ ადგილას.  
ირგვლივ არცერთი მოსახლე არაა.

საშინელი ნესტია, ჰაერი გაჟღენთილია წყლით, რომ სუნთქავ, თითქოს წყალი ჩადის ფილტვებში. პორიზონტზე ტყვიასავით ღრუბლები ჩანს; ნისლი თანდათან გადადის ტყვიისფერ ღრუბლებში და ვერ გაიგებ, სად არის ცის და მიწის გამყოფი. ფანჯარასთან ვზივარ მარტო. უკან კიდევ ორი ადამიანია. მძლოლი ძირს ჩავიდა, არ ვიცი, გაუფუჭდა რამე, თუ რა იყო, რა მოხდა. ასეთ სიმარტოვეში, თითქოს შიგნით, საკუთარ თავში ხარ შებრუნებული და უცებ მესმის ფანტასტიური ხმა.

კააა-კო!

ზუსტი მონაკვეთებით,

კაააკო! კაკოლო! კაააკო! ბიჭო, გადავირიე. საიდან ეს ხმა, ცა იძახის, მიწა იძახის, ვინ არის.

რა არი. ვხედავ, მოდის ხოდაბუნში ქალი, ნისლიდან გამოდის (რადაც ამდაგვარი „დიდ მწვანე ველში“ არის გადაღებული), ძირს იხედება, ისე ჩანს, რადაცას ეძებს. და გადავწყვიტე - ესაა! მთელი ფილმის განმავლობაში აუხსნელად იქნება ეს რეფრენი. როცა ფილმის ბოლოს ლეო ანთაძის გმირი წისქვილიდან გამოდის და მის წინ დგება, მაშინ ბოლო დაძახებაა. რეზოს ვუთხარი და ძალიან მოეწონა. მე თვითონ ვახმოვანებდი ამ რეფრენს.

გავიდა რამდენიმე წელი. 1986-ში ჩემი დიდი გამოფენა მოეწყო მხატვართა კავშირში,

პირველ სართულზე, დაახლოებით 450 ნამუშევარი იყო გამოფენილი. მივედი ერთ დღეს და ვხედავ, შთაბეჭდილებათა წიგნი გადაშლილია. მაინტერესებს ვინ იყო და აღმოვაჩინე:

„ძმარ რეზო!

რა საოცარია! ასე მეჩვენება, შენი ყოველი ნაბიჯი თავისებური შემოქმედებაა. მე ხომ გიცნობდი, როგორც მხატვარსაც, დღევანდელი დღის შთაბეჭდილება მაინც ყოველგვარ მოლოდინს გასცდა. თუნდაც მარტო ერთი შენი „ავტოპორტრეტისათვის“ გეკუთვნის ასი კოცნა მაგ ჭკვიან შუბლში, და გაკოცებ კიდევ, როდესაც გნახავ! კარგად გვეყოლე და მუდამ ხალისით გამუშაოს ღმერთმა! სიყვარულით რ. ინანიშვილი“

რეზო ესაძე

P.S. ეხლა, მე და რეზო კვესელაუა რამდენჯერაც შევდივართ, და ხშირად შევდივართ, დიდუბის პანთეონში, არ არსებობს, რეზოს ყვაილები არ დაუვლოთ. ძალიან მომწონს მისი უბრალო საფლაუი და ისიც, რომ ყოველთვის ჩიტების სკინტლითაა იქაურობა მოფენილი. მისი მეუღლე ძალიან განიცდის ამ ამბავს, მე კი უხარმაზარ ჰარმონიას ვგრძნობ რეზოსა და ამ ჩიტების კავშირში.

# ლამაზი ცტომლები

რამაზ ინანიშვილი

მეტი გზა არ იყო, ისევ ღუმელით უნდა წასულიყვნენ იოლას. ნოემბერი რომ განახევრდა და ცივი წვიმები დაიწყო, თინამ მამას სოფელში წერილი მისწერა: მამაჩემო, შენ გენაცვალე, იქნებ მანდ ვინმესთან ოთხი კუბმეტრი („ოთხი კუბმეტრი“ გიამ უკარნახა) შეშა შეგვიგულო, შაბათს ან კვირას გია ჩამოვა, ფულსაც ჩამოიტანს და შეშას თვითონ წამოიღებსო. წერილი ჯერ სოფელშიც არ ეგონათ ჩასული, ერთ ღამეს, პირველის ნახევარზე, თინას მამა დაადგათ თავს, - ადექით, შვილებო, შეშა ჩამოვიტანე და მაჩვენეთ, სად ჩამოვცალოო. ლოგინში წამომჯდარმა თინამ ჭუჭყუნი დაიწყო: - ოო, ისევ შენ იწვალე!.. ხომ მოგწერე, გია ჩამოვიდოდა და თვითონ წამოიღებდა!.. - მამამ კეთილად გაუღიმა, - ადექი, ადექი, შენც ჩაიცვიო! ფრთხილად მივიდა შვილიშვილის პატარა საწოლთან, რადაცები უჩურჩულა, მერე ისევ შვილსა და სიძეს მიუბრუნდა - თბილად ჩაიცვით, არ შეგცვიდეთო, - და მათთვის აღარ დაუცდია, თვითონ ჩავიდა ძირს.

თინამ და გიამ ერთმანეთს შეხედეს, გიამ ღიმილით გადააქნია თავი.

- იპ, შენც ერთი! - თქვა თინამ, ბავშვს საბანი გაუსწორა, თავშალი მოიხვია და ჩქარი ნაბიჯით დაედევნა უკვე გარეთ გასულ გიას.

- კი, მაგრამ შენ რაღად მოდიხარ, რა უნდა გაგვიკეთო?

- ჩამოვალ, რა გინდა?

გიამ მხრები აიჩეჩა, თინამ მარცხენა მხარზე ჩამოადო ხელი, თავი ახლოს მიუტანა და ისე ჩაჰყვა კიბეზე.

დაბლა, შემოსასვლელთან, კარგად დატვირთული

„გაზ-51“ იდგა - ეს რამდენი ჩამოვიტანიათ, კაცო!  
- გაიკვირვა გიამ. - ბევრიაო? - იკითხა თინამ.  
გადმოვიდა ჩექმებიანი მძლოლი, ჯერ გიას გაუწოდა  
ხმელი, ცივი ხელი, მერე თინას - ხო არ დამწარდება,  
შვილოო. - თუ რამე გადაგრჩათ, მეზობლებს  
მიაწოდეთო, - დაამატა თინას მამამაც. გიასაც  
გაეღიმა, თინასაც. გიამ შუბლი მოიფხანა, მანქანას  
ირგვლივ შემოუარა და თქვა: - ვერაუფო ჩავხილოთ  
სარდაფში, დილდობით მე დავხერხავ ხოლმე,  
მაგაზე კარგი ვარჯიში მეორე არ არსებობსო. თინას  
მამამ ეჭვიანად შეხედა, - დასახერხი ფული თუ არა  
გაქვთ, მე მოგცემთო. არაო, რას ამბობო, - შექან-  
შემოქანდა გია, - მართლა ძალიან მინდა, მე თვითონ  
ვხერხოო. თინაც აბუზღუნდა, - ნუ მოიგონებ ხოლმე  
რადაცებსო. მაგრამ გიამ თავისი გაიტანა, შეშა  
სარდაფში ჩაზიდეს და კედლის ძირას ააკოკოლეს,  
თინა მშვენიერად მიეხმარა.

გია მართლაც ხალისობდა. ჰო, შეშისღირებულებაზე  
ხმა არ ამოაღებინა თინას მამამ, მაღლაც კი არ  
აჰყვა, - პირველი გაკვეთილი მაქვს, შვილოო, უნდა  
მოვასწრო და ერთი-ორი საათი წავიძინოო, - დაქოქეს  
მანქანა, წავიდნენ. გიას ხერხი შინ ჰქონდა, წაიღო  
ის ხერხი, დეხერტირების ბაზართან გააღესინა,  
ჯოჯგინებიც გააკეთა შეშის დასადებად. შვიდ საათზე  
დგებოდა, სარდაფში ჩადიოდა, ხერხავდა, აპობდა,  
თვითონვე ამოჰქონდა, ღუმელსაც თვითონ ახურებდა,  
მერე მკლავებს უჩვენებდა თინას, - ნახე, როგორ  
დამებერა კუნთებიო. თინას სასიამოვნოდ ეღიმებოდა.  
რამდენჯერმე კარგი ხორციც იშოვეს, ამხანაგები  
დაპატიჟეს, მწვადი შეწვეს. ყველანი ნაღვლიანი  
აღტაცებით აქებდნენ შეშას და მის ცეცხლს. - არა,  
ძმაო, სულ სხვაა ნამდვილ ნაკვერჩხლებზე შემწვარი  
მწვადიო! ლოცვადნენ ხეების აღმომცენებელ მიწას,  
ფოთლების გამხარებელ ცას. პატარა თამუნიაც კი  
სულ „მწვადს“ გაიძახოდა. მაგრამ ერთ საღამოს გია  
შეფიქრიანებული დაბრუნდა სამსახურიდან. თინამ  
ვერ გაუბედა ეკითხა, რა მოხდაო, თვითონვე თქვა,  
- ხვალ მივლინებაში მგზავნიან მთელი ოცი დღით და  
არ ვიცი, როგორ წახვალთ იოლას უჩემოდო. ერთი  
პირობა თინაც შეფიქრიანდა, მერე სველი ხელები  
უკან გასწია, აკოცა გიას, - შენ ჩვენი დარდი ნუ  
გექნება, მე მაგარი გოგო ვარო. გიას ცოტა გულს  
მოეშვა, მიდგა-მოდგა, რადაცებს დაუწყო ძებნა.  
სუფრას რომ მიუსხდნენ, იქ დაიწყეს ანგარიში.  
ფული რაც ჰქონდათ გიასაც და თინასაც, გია  
წაიღებდა (ახლა უკვე აღარაუვის სჭირდება ახსნა-  
განმარტება, მართო სამივლინებო თანხით რატომ  
არ შეიძლება ქალაქიდან გასვლა), ესეც არ იყო,  
იქნებ ბავშვისთვის კარგი რამ შეზვედროდა. ოც  
დღეში თინას და ბავშვს დასჭირდებოდათ... თინას

აზრით - ოცდაათი მანეთი, გიას აზრით - სულ ცოტა,  
ორმოცდაათი მანეთი. ეს ორმოცდაათი მანეთი გიას  
უნდა ესესხა. დეიდას თუ არ ექნებოდა, სხვაგან  
უსესხებდა. მთავარი შეშა იყო, შეშას თინა ხომ ვერ  
დახერხავდა და დააპობდა. ოცი დღის სამყოფის  
დახერხვას ვერც გია მოასწრებდა. გადაწყვიტეს,  
- სამოცი მანეთი ესესხათ გიას დეიდასგან. ორმოც  
მანეთს თინა დაიტოვებდა, თხუთმეტი მანეთით შეშას  
დაახერხინებდნენ, ხუთი მანეთიც... ხუთი მანეთი  
ხვალვე დასჭირდებოდათ.

გიას ძალიან ენანებოდა მხერხავისთვის მისაცემი  
ფული, მაგრამ თან უკვე ის ყოველდღიური  
ფართიფურთიც მოხერხებოდა, - დაახერხინებ სულ,  
დაუაწყობ და მოვისვენებო.

წავიდა, დეიდასგან სამოცი მანეთი მოიტანა,  
ორმოცი თინას მისცა, ოცი თვითონ ჩაიღო.

დილით, ძალიან ადრე, რძის რიგი რომ დაიკავა,  
ბაზართან აირბინა. მხერხავები იქ იყვნენ, ზოგი  
იდგა, ზოგიც ბადის ყორეებზე ჩამომჯდარიყო.  
აიარა, ჩამოიარა. ერთი პატარა მიმყურდობული  
ბერიკაცი ამოიჩინა, თან მოეწონა, თან ეს იფიქრა, -  
იქნებ როგორ უჭირს, მაგას ხომ სხვა არ წაიყვანსო!  
- წამობრძანდებით პაპაო, ბერიკაცს ფარაჯის  
სახელოებიდან ხელები არ გამოუყვია, - ხერხი  
მარცხენა მკლავზე ეკიდა, - ისევე გაჰყვა. წავკისელი  
იყო, შვილები და შვილიშვილები ზოგი საით  
გაჰფანტოდა, ზოგი საით. გიამ რძის რიგთან ცოტა  
მოაცდევინა, რძე-მაწონი აიღო, მერე ისევ ერთად  
წავიდნენ. გია ჩქარობდა, ზოგჯერ დაავიწყდებოდა  
კიდეც ხოლმე, მოხუცი რომ მისდევდა, წინ  
გაუსწრებდა, მერე გაახსენდებოდა და შემცბარი  
გადახედავდა. მოხუცი მაინცდამაინც დიდ მანძილზე  
არ რჩებოდა.

პირდაპირ სარდაფში არ ჩაუყვანია, ჯერ მაღლა  
ავიდნენ. - ნახე, როგორი პაპა მოვიყვანე, თინაო. თინა  
გამოვიდა, იმასაც მოეწონა, - ისეთი პაპაა, მოფერება  
მოგინდებაო. და მოეფერა კიდეც, - ღუმელთან  
მობრძანდით, პაპილო, გათბითო. - არა, შვილო, არა  
მცივაო. თინა მაინც არ მოეშვა. მაშინ ბერიკაცმა  
ხერხი კარს უკან მიაყუდა, ფეხებზე ყურებით მივიდა  
ღუმელთან, ხელები ჯერ შორიდან მიუშვირა, მერე  
ზედ დააწყო. მოვიდა თამუნიაც, დაინტერესებულმა  
შემოუარა ირგვლივ. ბერიკაცმა გაუღიმა, - რაო,  
პატარა ქალოო! თამუნია მიბრუნდა და დედასთან  
გაიქცა.

გიამ კარადიდან არაყი, პური, ლორი და ყველი  
გამოიღო. არაყი დაასხა, - აბა, პაპა, დილის მაღლი

შეგვეწიოსო. პაპამ ერთი პირობა იუარა, მაგრამ მერე მაინც ასწია ჭიქა. ნელა დალია. გიამ ბოთლი ისევ აიღო. - არაო, ხელი დააფარა ბერიკაცმა თავის ჭიქას. - ერთიც, პაპა, ერთიც, ეს რა არის, პატარა ჭიქაა. ოჯახი დამილოცეო! ის ერთიც გაუვსო. ბერიკაცმა ოჯახი დალოცა. თამუნია შუა კარიდან იყურებოდა, დაინახა, ბედნიერი ქალი გაგიზარდოთო. დალია. გიამ მესამედაც მოინდომა ჭიქის ავსება, მაგრამ მოხუცმა საბოლოოდ იუარა, თინაც გამოექომაგა, - კარგი რა, გია, შენც ხომ სამსახურში ხარ წასასვლელიო. მაშინ გიამ სარდაფის გასაღები მოძებნა და ბერიკაცს დაბლა ჩაუძღვა.

არ უვაჭრიათ. შეშის დახერხვის მაზანდა ერთმაც იცოდა, მეორემაც. - თხუთმეტი მანეთი უნდა მოგართვათო, - თქვა გიამ. მოხუცმა ფარაჯა გაიხადა. შიგნით უფრო ახლობლური რამ ეცვა, - შავი ბამბახიის ხალათი, ქამარშემოჭერილი, ჯიბისპირებაღუნული, წვრილი ღილებით საღმირამდე შეკრული. აიღო შეშა, დადო ჯოჯგინებზე; რბილად გადაუსვა ხერხი. წადი, შვილო, შენ ნუღარ მოსცდები. მე დავხერხავ და დავალაგებ წყობისადო. გია გახარებული ამოვიდა მაღლა, - რა მოლადურივით პაპა შემხვდაო, მიაწყ-მოაწყო წიგნები და ქაღალდები, ჩასალაგებელი ჩაილაგა, თინას დაუბარა, - ადრე აჭამე სადილი, ეგენი, ხომ იცი, პირველ-ორ საათზე სადილობენო, და სამსახურში წავიდა.

თინამ კარგი ხარჩო გააკეთა, წვრილი თვის ბოლოვი დაარჩია, ყველი დაჭრა, ერთი ბოთლი შინაური ღვინოც დადგა და მოხუცს ისე გაუმასპინძლდა. ბერიკაცი ამჯერადაც ჩუმად იყო, ჩუმად ჭამდა, ღვინის დაღვევას სულ არ აპირებდა, მაგრამ თინაც მიუჯდა მაგიდას, თამუნიაც გვერდზე მოისვა, თვითონაც დალია, მოხუცსაც დააღვეინა. სუფრაზე დახრილი, მათლაფაში რიდით კოვზ ჩაყოფილი პაპა კიდევ უფრო მოსწონდა, - თეთრი ეკლებივით მსხვილი თმით შემოსილი პატარა თავი ჰქონდა, თმის ყოველი ღერი ცალ-ცალკე უბრწყინავდა. თინამ კიდევ ერთი გაიგო მისი, - უმცროსი ბიჭი აუარიაში დაღუპოდა. ჭიქა წაუქციეს, ბერიკაცს აღარაფერი უთქვამს მეტი, აღარც თინა ჩასძიებია, ჭამას მორჩა, ქული აიღო და ისევ სარდაფში ჩავიდა.

ოთხის ნახევრისთვის გიამ მოიბრინა, - მე მივდივარ და აბა, თქვენი იმედი მაქვს, პაპაო. - წადი, შვილო, წადი, კეთილად გატაროსო. გიამ ზეხუელად წაიხემსა, შეშის დასახერხი ფული დატოვა, ცოლ-შვილი დაკოცნა, წასვლის წინ, რუსულ ყაიდაზე, ცოტა ხანს დასხდნენ, თამუნია უკვე იცოდა, მამა

რომ „მოსკოვში მიდიოდა და ლამაზ-ლამაზი რამეები უნდა ჩამოეტანა, მაგრამ მაინც ატირდა. თინამ ძლივს დააწყნარა.

ბერიკაცმა საღამომდე ხერხა, საღამოს ამოვიდა, - ცოტადა დამრჩა, შვილო, მაგას ხვალ დავხერხავო. თინამ სუფრის გაშლა დაიწყო. - არა, შვილო, მაგის დრო არ არის, შინ უნდა წავიდეთო. მაშინ თინამ ფული გამოუტანა, ბერიკაცი ცოტა შეყოყმანდა, თინამ ხელში ჩაუღო, - წაიღეთო, წაიღეთო! ბერიკაცმა მაღლობა გადაუხადა, - დილაზე, შვილო, დილაზე ჩამოვალ და ყველაფერს მოვრჩებიო, წავიდა.

წავიდა და წავიდა. არც მეორე დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო დილას ჩამოსულა, არც იმის მომდევნო კვირას.

დაბრუნდა გია მივლინებიდან. გაიგო ეს ამბავი, - აი, ასე ქნა იმ შენმა მოლადურივით ბერიკაცმაო. დაჯდა გამტკნარებული. როგორდაც გაუგებრად იღიბებოდა. მერე თქვა, - მაინც რამდენი იქნება დახერხილიო. - ნახევარზე ცოტა მეტიო, - მიუგო თინამ. - მაშ, იცი რა, ჩემო მაგარო გოგო, მოდი, შვიდი მანეთის გულისთვის ნუ გავიმეტებთ კაცს, იქნებ რა მოუხდა, იქნებ რა შეემთხვაო! - კარგიო! - გაელიმა თინასაც.

გავიდა კიდევ ერთი კვირა, კვირაზე მეტიც.

ერთ დღეს ერთი დაბალი ხერხიანი ბიჭი მოვიდა ეზოში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კითხულობდა, პატარა გოგო რომ ჰყავთ, შეშა რომ ჰქონდათ სარდაფშიო. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, ვინც უნდოდა, წაუძღვნენ, მოიყვანეს, ზარიც დაურეკეს. თინამ გამოიხედა. ბიჭი მორცხვად ალაპარაკდა, - პაპაჩემს თქვენი შეშა დარჩა დასახერხი, მე მოვედი, მე უნდა დავხერხო. თუ დახერხილი გაქვთ, რაც გეკუთვნივით, ფული უკან უნდა აიღოთო. თინას სახე შეუფიქრიანდა, - პაპა? პაპას რა დავემართაო? - პაპა მოკვდა, ხუთი დღეა, რაც დავემარხეთო. თინამ კარს ლოყა მიადო და ასე გაშტერებული დარჩა. გამოიხედა გიამ, იმანაც გაიგო, რა ამბავიც იყო, აპო, არაო, როგორ გეკადრებათო! მაგრამ ბიჭმა არ დათმო, - ანდერძად ეგ დამიტოვა და უნდა შევუსრულოო. მეტი რაღა გზა იყო. ჩაუძღვა სარდაფში. ბიჭმა გაჩქარებული ხერხვა დაიწყო.

გიამ ხელები კეფაზე შემოიწყო, - აი, ხომ ხედავ, რა კარგია, კარგები რომ ვართო! თინამ გაუღიმა. თვალეში ლამაზი ცრემლები ედგა.

## „Chamisso“-ს პრიზის გადაცემა მიუნხენში

გოგონა, რომელმაც წლების წინ თეატრი ტირილით დატოვა და მასში შესვლას აღარასდროს აპირებდა 4 მარტს სწორედ თეატრისთვის დაწერილი პიესების გამო ლიტერატურული პრიზით „Chamisso“ დააჯილდოვეს. სპექტაკლი რომელზეც ნინო ხარატიშვილმა სამი წლის ასაკში იტირა წითელქუდა იყო, ტირილის მიზეზი კი მგლის სცენაზე გამოჩენა. ახლა თეატრი მისი მეორე სახლია და მას მაშინაც არ სტოვებს, როცა დროებით მის კედლებს მიღმაა. წერს ორ ენაზე, ქართულად და გერმანულად და წერს თემებზე, რომელიც თავისი მნიშვნელობით დროის და ქვეყნების საზღვრებს სცდება. ის წერს სიყვარულზე, მარტოობაზე, ძალადობასა



ნინო ხარატიშვილი

და გაუცხოებაზე. მასზე, რაც უნახავს, სმენია და განუცდია. „Ich habe verlernt, hier zu leben, und dort zu leben habe ich noch nicht gelernt.“ – ამბობს ნინო პიესაში „გეორგია“ და იმ მტკივნეულ ადგილზე ადებს ყველა მსმენელს თუ მაყურებელს ხელს, რომელსაც გაუცხოება ჰქვია. სწორედ საკუთარი ფიქრის და ტკივილის მხატვრულად გადმოცემის ნიჭმა ნინო 26 წლის ასაკში გერმანიის თეატრალური სამყაროს ცნობილ დრამატურგად აქცია.

„Albert von Chamisso“-ს სახელობის პრიზით რობერტ ბოშის საზოგადოება უკვე ოცდახუთი წელია ყოველწლიურად იმ არაგერმანულ ახლგაზრდა მწერლებს აჯილდოვებს, რომლებიც არამშობლიურ გერმანულ ენაზე ლიტერატურულ ნაწარმოებებს ქმნიან. სამ დაჯილდოებულს შორის ერთ-ერთი სწორედ ნინო ხარატიშვილი იყო, რომლის სცენაზე გამოსვლასაც ორკესტრი ჩვენთვის ასე საყვარელი „სულიკოს“ დაკრით შეხვდა. დაჯილდოვებას მიუნხენში სამ ასეულამდე დამსწრე ჰყავდა და ერთი უღავო ფავორიტი – ნინო.

ნინო ხარატიშვილი 1983 წელს თბილისში დაიბადა, ის 12 წლის ასაკში დედასთან ერთად გერმანიაში წამოვიდა საცხოვრებლად. წერა მისივე თქმით მაშინ დაიწყო, როცა მონატრებას ვეღარ გაუძლო და მოსაუბრეც ცოტა ნახა უცხო ქვეყანაში. ნოსტალგიას ვერც ამით გაუმკლავდა და ორ წელში ისევ საყვარელ და ხმაურიან თბილისში დაბრუნდა. ქალაქი შეცვლილი დახვდა, სხვანაირი, ისევ მარტო დარჩა. გამოსავალი ისევ წერა იყო.

საკუთარ გრძნობებში, ფიქრებში, იდეალებში ჩაღრმავება და წერა. სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში რეჟისურის ფაკულტეტზე ჩააბარა და ორენოვანი თეატრალური ჯგუფი „Das Fliedertheater“ დააარსა. სწავლის დამთავრების შემდეგ ისევ გერმანიისკენ გამოუწია გულმა. ახლა უკვე ჰამბურგის თეატრისა და მუსიკის აკადემიაში გააგრძელა სწავლა სამსახიობო რეჟისურის ფაკულტეტზე, რომელიც 2007 წელს წარმატებით დაამთავრა. ნინომ ბოლო წლების განმავლობაში უკვე რამოდენიმე პიესა დაწერა თეატრისათვის, რომლის მთავარ გმირებსაც ხშირად თვითონვე ანსახიერებდა. მის სპექტაკლებს წარმატება გერმანიის და ავსტრიის არაერთ თეატრში ხვდა წილად. 2007 წელს პიესამ „გეორგია“ არაჩვეულებრივი ინსცენირებისათვის როლფ-მარეს პრიზი აიღო, 2008 წელს კი „ლივ შტაინი“ დაჯილდოვდა საუკეთესო ავტორის პრიზით. ნინომ საკუთარი თავი მოუთმენელ ადამიანად დაახასიათა, რომელსაც რამდენიმე ასეული გვერდის დაწერა და შემდეგ ლოდინი, როდის გახდება მისი წიგნი წარმატებული, არც თუ ისე ხიბლავს. თუმცა 2010 წელს მისი გერმანულენოვანი რომანი „Juja“ გამოიცა, რომლის პოპულარობაზეც, თუ წინა ნაწარმოებების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძალიან მაღე გვექნება დასაწერი.

თინათინ ჩითინაშვილი



# სირველნაბეჭდი ქართული წიგნები



**ჩიკობავა შიკველიძე**  
 ფულდა, ჯერმანია

სირველნაბეჭდი ქართული წიგნები, ადრეული ქართული სასტამბო შრიფტები, პირველი სტამბა მბილისში.

1628 წელს სომხი სტეფანო საოლინისა და ჩიკვიფორე სრბახის (ჩიკოლომ სრუბაქიძე-ხოლოყაშვილის) მიერ დამზადდა პირველი ქართული სასტამბო შრიფტი, რომლითაც 1629 წელს დაიბეჭდა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“.

## ანგდეგვჭითიკლმნდოჲურ სტყუფქლყშჩმცწჭხჯჳჭ

სტეფანო საოლინის და ჩიკვიფორე სრბახის პირველი ქართული სასტამბო შრიფტი (1628 წ.)

1643 წელს სომხი ამავე შრიფტით დაიბეჭდა ფრანცისკო-შარია შაჯიოს „ქართული გრამატიკა“. ფ.-შ. შაჯიო შეიძინა წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში სომხის საპის დავალებით ქართული ენის, დამწერლობის და გრამატიკის შესასწავლად. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1670 წ.



„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სომხი, 1629 წ.




„ქართული გრამატიკა“. სომხი, 1670 წ.

Dictionario Giorgiano-Italiano.	
ქართული	იტალიური
ქართული	იტალიური
იტალიური	ქართული
ქართული	იტალიური
იტალიური	ქართული
ქართული	იტალიური
იტალიური	ქართული

„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სომხი, 1629 წ.



„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სომხი, 1629 წ.



შედრული ასოების ელემენტების მოხაზვის თანმიმდევრობა და მიმართულება. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სომხი, 1629 წ.

ALPHABETUM ORIENTALIUM		Methaphrasa Armenica.	
ა	Α	ბ	Β
ბ	Β	გ	Γ
გ	Γ	დ	Δ
დ	Δ	ე	Ε
ე	Ε	ვ	Υ
ვ	Υ	ზ	Ζ
ზ	Ζ	თ	Θ
თ	Θ	ი	Ι
ი	Ι	კ	Κ
კ	Κ	ქ	Χ
ქ	Χ	ღ	Φ
ღ	Φ	ყ	Ψ
ყ	Ψ	შ	Σ
შ	Σ	ჩ	Τ
ჩ	Τ	ც	Τ
ც	Τ	ძ	Δ
ძ	Δ	წ	Ν
წ	Ν	ჭ	Τ
ჭ	Τ	ხ	Χ
ხ	Χ	ჯ	Ζ
ჯ	Ζ	ჲ	Β
ჲ	Β	ჳ	Α
ჳ	Α	ჴ	Α
ჴ	Α	ჵ	Α
ჵ	Α	ჶ	Α
ჶ	Α	ჷ	Α
ჷ	Α	ჸ	Α
ჸ	Α	ჹ	Α
ჹ	Α	ჺ	Α
ჺ	Α	჻	Α
჻	Α	ჼ	Α
ჼ	Α	ჽ	Α
ჽ	Α	ჾ	Α
ჾ	Α	ჿ	Α
ჿ	Α	ჿ	Α


ფრანცისკო-შარია შაჯიო. „ქართული გრამატიკა“. სომხი, 1670 წ.

ქართული	იტალიური
ა	Α
ბ	Β
გ	Γ
დ	Δ
ე	Ε
ვ	Υ
ზ	Ζ
თ	Θ
ი	Ι
კ	Κ
ქ	Χ
ღ	Φ
ყ	Ψ
შ	Σ
ჩ	Τ
ც	Τ
ძ	Δ
წ	Ν
ჭ	Τ
ხ	Χ
ჯ	Ζ
ჲ	Β
ჳ	Α
ჴ	Α
ჵ	Α
ჶ	Α
ჷ	Α
ჸ	Α
ჹ	Α
ჺ	Α
჻	Α
ჼ	Α
ჽ	Α
ჾ	Α
ჿ	Α
ჿ	Α

ფრანცისკო-შარია შაჯიო. „ქართული გრამატიკა“. სომხი, 1670 წ.

შე-17 ს. 80-ან წლებში მეფე სრჩილ II უკავშირდება სმსტერდამის ბურგო-

მისტრს ჩიკოლა ჴიტცენს და შედგენიერს დიპლომატ სოპან ყპარვენგელფერდს, ხოლო მათი მეშვეობით სმსტერდამში მოღვაწე სახელგანთქმულ ასოთმწანდაკელებს შიკლომ ლოტფალუმ ღიშს, რომელსაც დაავალა ქართული სასტამბო შრიფტის დამზადება. სრჩილის მიერ შედგენილი ქართული ასოების ნიმუშების გამოყენებით 1687 წელს შიკლომ ღიშმა ჩამოასხა ახალი ქართული შრიფტი, რომელიც შეიცავდა ასომთავრულ, ნუსხურ და მხედრულ ასოებს. ამ შრიფტით 1705 წ. მოსკოვში აიწყო და დაიბეჭდა „ნავითნი“.



ლოო: ყოეოის: მჳტირობეოო: შემოქმეოო: ცისა: და: ქვეყარისაუო: ყოეოისა: კაცოა: შეუყოებოის და: მოუოეოებოისა: აბგდექსჳთი

შიკლომ ლოტფალუმ ღიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტი (სმსტერდამი, 1687 წ.)



სრჩილ მეფის მიერ მოსკოვში გამოცემული „ნავითნი“. 1705 წ.

შე-18 ს. დასაწყისში ჩახტანგ VI ჴლახეთიდან მოიწვია მესტამბე შიხაელ შმტვანოვიჩი (შიხაილ ჴალაბი, ცნობილი ქართველი მოღვაწის სნთიმოზ ჴვერიელის მონაფე). მბილისში შტკვერის პირას, თავისი სასახლის ახლოს, მოამყო სტამბა და შეუდგა წიგნების გამოცემა. ამ სტამბაში 1709 წ. დამზადდა საქართველოში პირველი ნაბეჭდი წიგნი «სახარება». სმავე წელს გამოიცა «ნავითნი» და «სამოციქულო». ის წიგნები დაიბეჭდა შიხაელ შმტვანოვიჩის (სტეფანიშვილის) მიერ და დამზადებული შრიფტით. 1712 წ. კი განხორციელდა



„უფებისტყაოსანის“ პირველი გამოცემა.

აბგლეფზთიკლმნოპჟრ  
სტუფქღყშჩცძწჭხჯჳ

შიზაელ უმტაროვიჩის სასტამბო მრითი (1708 წ.)



საქართველოში გამოცემული პირველი ნაბეჭდი წიგნი „სახარება“. შილობი, 1709 წ.



„სახარება“. შილობი, 1709 წ.



„სამოყეველო“. შილობი, 1709 წ.



„მონდაკი“. შილობი, 1710 წ.



„შავითნი“. შილობი, 1711 წ.



„უფების ტყაოსანი“. შილობი, 1712 წ.



„უფების ტყაოსანი“. შილობი, 1712 წ.  
ჩახტანგ VI გვრბი



„ჰვნულების ტყაოსანი“. შილობი, 1721 წ.



„სარაკლიონი“. შილობი, 1721 წ. შავგართი



„ჰამნი“. შილობი, 1722 წ.  
შავგურცელი



ჩახტანგ VI დროშა

**ჩხოვილწერა** — დეკორატიული ხელწერა, რომელიც ჰკრავს სტრიქონს განუწყვეტელ ორნამენტში.



„სამოყეველო და სამღვდელთ სახარება“. შილობი, 1709 წ.



„სამოყეველო“. შილობი, 1709 წ.




„ზოგვანი“. შილობი, 1710 წ.



„სახარება შარკონისი. შავი პირველი“. შილობი, 1710 წ.



„რენი რეობილსიტყვაობა“. 1768 წ.



„რეობილსიტყვაობა“. შარი ყროსეს ხელწერა

**ქველწერა** — დეკორატიული ხელწერა მხედრული ასოებით, რომელიც იხმარებოდა მე-17—19 სს. ხელწერებში ავტორის ან გადამწერის ხელმოწერის გადმოსაცემად.



სრული მელის ხელწერა მისი წერილიდან სმბტერდამის ბერგომისტრ ჩიკოლა ზიტყვინაბში. (1686 წ.)



სტრონ ყავრაციონის „რეობილსიტყვაობის“ გადამწერის შავითი სექტორ შლეფსიძის ხელწერა. (1800 წ.)



შარი ყროსეს ხელწერა

# ყვანასკნელი ოხონა

თინა ღალაძიშვილი

დილით შრედერის საშინელმა ყვირილმა გაგვალვია. ბანაკში გამეფებული სიჩუმე სრულიად საპირისპიროდ გარდაიქმნა. ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამოღვიბებული ტყვეები, ნარებიდან ჩამოხტნენ.

კარი გაიღო და კომენდანტის გააფრთხილებული სახე გამოჩნდა. მათრახი ეჭირა და უმასპინძლებოდა ძლიერი დარტყმებით ისედაც ღონე გამოცლილ საბრალო ტყვეებს. შრედერის მათრახის გემო ჩემმა ტანმაც იწვნია, მერე გვერდით მდგომს სახეზე გადაუშხულია. გადარმა დაიკვნესა და იქვე ჩაიჩოქა.

— შტენდ აუფ! შნელ! ადექით, ჩქარა! — უყვიროდა და მათრახს დაუნდობლად ურტყავდა. ძირს დაგდებული ვედარ დგებოდა. მე ვცაღე ხელი წამეშველებინა. თავზე მათრახმა გადამიშხულია.

— რუსიშეს შვან! (რუსო ღორო!) — დამიღრიალა კომენდანტმა და წიხლიც მითავაზა.

— მაპატიეთ, ბატონო კომენდანტო, მინდოდა დაეხმ...

სიტყვები მათრახმა გამაწყვეტინა. სახეზე რაღაც თბილი ჩამომეღვარა. მოწმენდაც ვერ გავბედე.

— შნელ! შნელ! — ყვიროდა გააყვებული კომენდანტი.

— ნეტავ რა დედამ გაგზარდა ასეთი ავი... — ქართული სიტყვები შემომესმა. გაშეშებული ვიდექი, განძრევისაც კი მეშინოდა, რომ ისევ ის საშინელი ტკივილი არ დამტყდომოდა ისევ.

— ვინ იყო! — დაიღრიალა შრედერმა, — ვინ დაილაპარაკა! როგორ გაბედეთ ლაპარაკი!

ხმას არავინ იღებდა.

შრედერი ქუსლებზე შემოტრიალა და მის უკან მდგომ ავტომატიან გერმანულ ჯარისკაცს უბრძანა:

— დააყენეთ რიგში და ყოველი მეოთხე დახვრიტეთ!

გერმანელმა ჯარისკაცმა ქუსლი ქუსლს მიაბრტყა და გაჭიმული ხელი მაღლა ასწია.

— არის, ბატონო კომენდანტო!

შიშმა მთელ ბანაკს გადაუარა. ყველას ტანში გასცრა. გაურკვევლობა ჩამოწვა სიკვდილ-სიცოცხლის შორის. ვიცოდით ათ წუთში ან ცოცხლები ვიქნებოდით ან მკვდრები. ფეხზე ძლივს მდგარ გადარზე შეჩერდა ჩემი მხერა. მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი, ასე მეგონა, გაუხარდებოდა კიდევ სიკვდილი.

მათრახის ზუზუნში დაგვაყენეს მწკრივში.

ლიონია გაფაციცებული ცდილობდა დაეთვალა რიგში მდგომი და ისე დამდგარიყო, რომ მეოთხე არ ყოფილიყო. მაგრამ ამ არეულობაში და საშინელ განცდაში ეს წარმოუდგენელი იყო. შიშისაგან ოფლმა დამასხა. მეც ვეცაღე გადამეთვალა და წინასწარ გამეგო თუ მერამდენე ვიქნებოდი, მაგრამ ვერ შევეძელი. მთელი ტანიდან წამოსული ოფლი შარვლის სალტესთან მოგროვდა, მერე იქიდანაც გზა გაიკვლია და ლაჯები დამისველა. ასე მეგონა ჩავისველე, თუმცა არც ეს იყო გამორიცხული...

— გაითვალეთ, — დაიღრიალა კომენდანტმა. გვერდიდან გადარის ჩურჩული შემომესმა:

— მიდი, ლიონია, გამიცვალე, მე ჩემს კლავსთან მიხდა წასვლა...

ლიონია დიდი სურვილის მიუხედავად ვერ ბედავდა გადარისათვის სიკვდილის მომტანი ადგილის გაცვლას. სიმწრისაგან შუბლზე ოფლი მოსკდენოდა.

გადარი მიხვდა, რომ ლიონია არ დადგებოდა მის ადგილას და შეუმჩნევლად შეუნაცვლა ადგილი. ლიონიამ პირი დაალო, რაღაც უნდა ეთქვა. გადარის ჩურჩულმა შეაჩერა:

— რომ იცოდე რა სიკეთეს გამიკეთებ, მე ჩემს კლავსთან ვიქნები მალე.

მხერა გადარისაკენ გავაცოცე. გადარს გაცისკროვნებული სახე ჰქონდა. მას ნამდვილად სჯეროდა რომ კლავსთან იქნებოდა და სახეზე ენით ამოუთქმელი სიხარული ეწერა.

ჩემს გვერდით მდგომმა ორი დაიძახა. მექანიკურად მივყოლე “სამი” და იმის გათვითცნობიერებამ, რომ ცოცხალი გადავრჩი, ძალა გამომაცალა. თითქოს უკანასკნელად მომიჭირეს ხელი და საბოლოოდ გამომწურეს...

ყაზახი ადარბეკოვი სიკვდილმისჯილთა რიგში მოხვდა. ვერაფრით ვერ წარმოსთქვა “ოთხშ, მიწაზე გაგორდა და შრედერს ჩექმებზე კოცნა დაუწყო. კომენდანტმა უმოწყალოდ დაუწყო მათრახის დარტყმა.

— მომაცილეთ ეს ღორი.

ბოლოს როცა დაინახა, რომ შეუძლებელი იყო მისი წამოყენება, რევოლვერი ამოიღო და ზურგში გულის მოპირდაპირე მხარეს ესროლა. ადარბეკოვის ხელები მოღუნდა და როგორც შენელებულ კადრში ნელ-ნელა ჩამოსცილდა კომენდანტის ჩექმებს.

მეოთხეები კედელთან დააყენეს და გაისმა

ავტომატის ჯერი. ყურებში ჰაიდნის სიმფონია ამიჯღერდა. ჩემი გონება ნელი ლირიული მუსიკით ეთხოვებოდა ამხანაგებს, თუმცა ზოგიერთს ჯერ არც კი ვიცნობდი, რადგან ამ ბანაკში ახალი მისული ვიყავი, მაგრამ ჩვენ ყველა ერთნი ვიყავით, ბედით ამხანაგები...

ისევ ბარაკში შეგვეყარეს. როგორ სურდათ ადამიანები ჯოგად ვექციეთ, ცხოველების ჯოგად, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ფიზიკის კანონის თანახმად რაც უფრო მეტია დაწოლა მით უფრო ძლიერდება წინააღმდეგობა. ეს თუნდაც სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ლიონიას მაგალითით ჩანდა, რომელიც არაფრით არ თანხმდებოდა ადგილის გაცვლაზე.

ალბათ, შენარჩუნებული სიცოცხლე მისთვის ძნელი ასატანი გახდებოდა, რადგან ის შეინარჩუნა სხვისი სიკვდილის ფასად...

მზე ჩავიდა. ფანჯრიდან გაეყურებდი ჰორიზონტს. მიწას და ცას ჰყოფდა მავთულხლართის ღობე, სადაც დენი იყო გატარებული. რუხ მიწას და მავთულხლართის ზემოთ ცა განათებული იყო ჩამავალი მზის წითელი სხივებით.

საოცრად ლამაზი იყო... გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო.

ამ დროს ბარაკის კარი გაიღო და ახალგაზრდა გერმანელი შემოვიდა. თვალი მოგვაულო ყველას და ჩემი ნომერი დაიყვირა. დიახ დაიყვირა. აქ ყველა გერმანელი ყვიროდა. ჩვენ ტყვეებს კი ჩურჩულით ლაპარაკისაც კი გვეშინოდა. გადაჩვეულიც კი ვიყავი ადამიანურ საუბარს.

გული საშინლად ამიჩქარდა. რა მომელოდა? რატომ წარმოსთქვა ჩემი ნომერი? ეს კითხვა ტვინს მიბურღავდა.

წინ წამოვდგი ნაბიჯი. ჯარისკაცმა ხალათზე დაბნეულ ნომერს შეხედა და შემეკითხა:

— პიანისტი ხარ?

მე გერმანული ენა კარგად მესმოდა, მაგრამ არ შევიძინე და გაურკვევლობის ნიღაბი გადავიკარი სახეზე.

გერმანელი ჯარისკაცი ბარაკიდან გავიდა და ხუთიოდ წუთში თარჯიმანით დაბრუნდა.

— პიანისტი ხარ? — ისევ გაიმეორა და თარჯიმანს გადახედა.

თარჯიმანმა გადამითარგმნა. მე თავი დავუქნიე.

— პირუტყვი, ლაპარაკსაც ვერ ახერხებს, — ზიზღით ჩაილაპარაკა ჯარისკაცმა და დაცინვით გადმომხედა.

— წამოდი, მომყვი. ფეხები სწრაფად გამოადგი!

თარჯიმანმა რუსულად გამიმეორა იგივე. სანამ თარჯიმანის ნათქვამი არ გავიგონე ადგილიდან არ

დავიძარი. საკუთარი თავის მუდმივი კონტროლი მჭირდებოდა რომ ჩემი გერმანულის ცოდნა არ გამოემქვლავებინა.

ჯარისკაცმა წინ გამიგლო, თან ავტომატის ლულით მჯიღს მკრავდა. უკან მომყვებოდა და მიმართულებას მაჩვენებდა.

მივხვდი რომ ოფიცერთა შენობისაკენ მივიღოდი.

კარებთან გამაჩერა, იქ მდგარ დაცვას ჩამაბარა და შენობაში შევიდა.

მალე დაბრუნდა და დამტყვევული რუსულით მიბრძანა მივეყოლიყავი. გრძელ დერეფანში ამოვყავი თავი. გამწვკრივებულ კარებებიდან მესამე გააღო და შიგ შემაგლო.

ოთახში რამდენიმე ოფიცერი მრგვალ მაგიდას უსხდა. სამივემ მომაპყრო მხერა. ერთ-ერთმა, მაღალმა, ჭადარა, მუნდირში გამოწყობილმა, პენსზე შეისწორა და მოჭუტული თვალებით დამაკვირდა.

— ესაა პიანისტი?

— დიახ, ობერშტურმანფიურერ! — გაეჯგომა ჯარისკაცი.

— ოოო... — ადგა, ჩემსკენ წამოვიდა, გარშემო შემომიარა, — ვნახოთ...

ძალიან გამხდარმა მაგიდასთან მჯდომმა ოფიცერმა ჩემსკენ ხელი გამოიშვირა და წამოიძახა.

— რუსებმა ფორტეპიანოზე დაკვრა რა იციან, ალბათ პიანისტობა ძაღლების ვალსის დაკვრა ჰგონიათ... — თქვა, დაიხვიზინა და ცხენის კბილები გადმოყარა.

პენსენამა განმგმირავი მხერა ესროლა. გამხდარს სიცილი პირზე შეაკვდა.

— ჰერ ლენც, ჩანს მუსიკაში ვერ ერკვევით...

მერე მომიახლოვდა და რუსულად მითხრა:

— მომყვი.

ოთახიდან გავიდა. დიდი სწრაფი ნაბიჯებით დერეფნის ბოლოსაკენ გაეშურა. ძლივს მივეყვებოდი, მიჭირდა სიარული. დაუძლურებული ვიყავი.

დერეფნის ბოლოში, კარი გააღო და შევიდა. მეც მივეყვი. ჯარისკაციც შემომყვა.

პენსენამა გაუშვა და კარი მოიხურა.

დიდ ნათელ ოთახის შუაგულში შავი როიალი იდგა. ხელით მანიშნა მივსულიყავი და დამეკრა.

როიალს მივუახლოვდი. პიუპიტრი ფრთხილად დავეკეცე და სკამზე ჩამოვჯექი. კლავიატურას ხელი გადავუსვი. სამი წლის განმავლობაში არ მივკარებოდი. მანამდე კი დღეში 9-10 საათი მაინც ვუკრავდი. საშინლად მენატრებოდა დაკვრა. აი, ახლა კი ჩემს წინ იდგა და კლავიატურას თითებით ვეფერებოდი. ნაცნობი სიგლუვის შეგრძნება. სპილოს ძვლის კლავიშები ოდნავ მოყვითალო ფერის იყო. არ ვიცი რამდენ ხანს გამიგრძელდა ინსტრუმენტთან ეს უტყვი მონატრების საუბარი...

ოფიცერი ხმას არ იღებდა. მე მას ვერც ვხედავდი. ასე მეგონა მარტო ვიყავი... ჩემს ცნობიერებაში ინსტრუმენტის ნახვის სიხარულის მეტი ვერაფერი ეტეოდა.

მერე წამომიარა სურვილმა დამეკრა რაიმე აბობოქრებული, შმაგი ძალით დამუხტული. გადავწყვიტე რანხანინოვი დამეკრა. ეს კომპოზიტორი ფაშისტებს შერისხულთა სიაში ჰყავდათ. ხელები კლავიატურის ზემოთ ავწიე და თითქოს გავშემდი. ახლა ვიცოდი რაც უნდა დამეკრა. რანხანინოვის პრელუდია დო-დიუზ მინორი. პირველმა აკორდებმა გაიჟღერა ჩემს გონებაში და ხელები დაეშვა კლავიატურაზე.

ჩემს თვალწინ გაირბინეს ომის კადრებმა: დანგრეული, გადამწვარი ქალაქები და სოფლები, უამრავი ჯარისკაცის მოკლული სხეულები, სახრჩობელაზე დაკიდებული ადამიანები, მტირალი ბავშვის სახეები... და ყველგან სისხლი... სისხლი... თითები თავისით დარბოდნენ კლავიშებზე და ჩემს გრძობებზე ყვებოდნენ, ჩემს დარდზე, ჩემს ვარაძზე, აუტანელ ტკივილზე, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში ყოველდღიური გახდა და რომელიც ძილის დროსაც არ მასვენებდა და ხშირად ოფლში გაწურულს მეღვიძებოდა.

ბოლო აკორდის ბგერები გაისმა. მუსიკის ენებათა ღელვის შემდეგ, მე კარგა ხანს ვუსმენდი სიჩუმეს. ისიც გაგრძელება იყო იმ განცდისა რაც ამ ნაწარმოების დაკვრას სდევდა... დახვრეტის განაჩენის მოლოდინში ვიყავი...

ჩემს წინ ლანდი აისვეტა. ავიხედე.

ოფიცერმა რაღაც ჩაილაპარაკა ჩუმად. უცებ მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

მე გაშეშებული ვიჯექი. რა მომელოდა არ ვიცოდი. ხუთიოდე წუთში ისევ ის ჯარისკაცი შემოვიდა თარჯიმანის თანხლებით და მითხრა რომ მე ახლა გავემგზავრებოდი ობერშტურმანფიურერის ადგილ-მამულში. იქ მეტყობდნენ დანარჩენს.

ჯარისკაცმა ისევ ავტომატის ტარის მუჯღუგუნების თანხლებით გამომიყვანა და გაკრიალებულ შავ მერსედესში ჩამსვა. გვერდით ავტომატიანი თარჯიმანი მომიჯდა. წინა სავარძელზე ჯარისკაცი დაჯდა.

— თვალები აუკარი, — გადმოუგდო სიტყვა უკან მჯდომს. თარჯიმანმა შავი სქელი ნაჭრით თვალები ამიხვია. დიდხანს მივიღოდით. გზა გაიწვლა.

სასიამოვნოდ მარწევდა. სავარძელს მივეყუდე და ჩამეძინა. ჩემი ხის ულებო ნარის შემდეგ რბილი სავარძელი მესიამოვნა.

ჩემი სახლი დამესიხმრა. ვითომ ხეზე ვიყავი ასული, ალუბალს ვკრეფდი. დედაჩემი ხის ქვეშ იდგა და მაფრთხილებდა, არ დავცურებულაყავი. მე კი მაღლა და მაღლა მივცოცავდი. აქედან მთელი ქალაქი

ხელისგულივით ჩანდა. აი, ლალის სახლი. ალბათ ის თავის ოთახშია წიგნს კითხულობს. დედაჩემი ხელით სახეს იჩრდილავდა. ჩემი და ეზოში ასკინკილობანას თამაშობდა. მამაჩემი პატარა სკამზე ჩამომჯდარიყო და წიგნს კითხულობდა. მე კენწეროზე ვიყავი შემომჯდარი და ვძღვროდი...

უცებ მხარში რაღაც მომხვდა და ხიდან ჩამოვარდი. ყვირილი აღმომხდა...

გამეღვიძა. თვალებზე ნაჭერი აღარ მქონდა ახვეული. მანქანა გაჩერებულიყო. თარჯიმანი მხარში ავტომატის ლულას მირტყავდა. ვერ ვეხიზლდებოდი, ალბათ.

მანქანიდან გადმოვედი, ჩემს წინ ლამაზი სახლი იდგა. სახლამდე ქვაფენილი ბილიკი მიუყვებოდა. ირგვლივ ბაღნარი იყო. მწვანე კლუმბები ნაირფერი ყვავილებით მოჩითულიყო. აქაურობას კარგი მეზადის ხელი ეტყობოდა. წინ გამიგდეს. “საპარადო შესასვლელით არ შემიყვანეს სახლში. უკანა მხრიდან მომატარეს. კაკლის ხის კართან ჭაღარა, სანდომიანიისახის მსახური დამიხვდა. ჯარისკაცმა ჩემზე მიანიშნა.

— ესაა. მიხედეთ.

მსახურმა უხმოდ დაუქნია თავი და სახლში შემიძღვა. ხელით პირველივე კარებზე მიმანიშნა და კარი გააღო. შევედი. შემომყვა. მერე ხელებით მანიშნა რომ უნდა გამქნადა. მე გაცოცხლებული ვუყურებდი.

— ბანაობა, — დამახინჯებული რუსულით მითხრა.

მე გახდა დავიწყე.

— ყველაფერი, მერე აქეთ, ტანსაცმელი აქ დატოვე, — მერე ხელით მეორე კარებზე მიმანიშნა, — იქ დაიბან.

— სწრაფად, — მითხრა და გავიდა. როდესაც კარი გააღო, მაღალი, ქერა ჯარისკაცი დავინახე. ალბათ, ჩემს საყარაულოდ დააყენეს. ოთახს თვალი მოვაუღე. საშუალო ზომის ოთახი იყო. ერთი მაგიდა, ორი სკამი და ხის საწოლი იდგა. ფანჯრებზე გისოსები იყო გაკეთებული.

ტანსაცმელი გავიხადე. ყველაფერი ოთახში დავტოვე. კარი გავაღე. პატარა აბაზანა იყო. საშხაპეს ერთი ონკანი ჰქონდა. მოუშვი. ნელ-თბილი წყალი წამოვიდა. ტანი შევუშვირე. ჯერ გამაკანკალა, მერე მესიამოვნა კიდევ. იქვე საპონი შევნიშნე, კარგად გავისაპნე. საოცარ ნეტარებას ვგრძობობდი. აი, უკვე ერთი წელი ხდება რაც ამ ბანაკში ვარ. მხოლოდ თვეში ერთხელ ცივ წყალში შეგვალავდნენ და რაღაც სადებიზინფექციო ხსნარს გვაულებდნენ.

— სწრაფად, — მომესმა უკნიდან. მივიხედე ჭაღარა მსახური, რომელსაც ფრიდრიხი ერქვა. მკაცრი სახე ჰქონდა. მუდამ მოღუშული დადიოდა. სიტყვაძვირი იყო. ალბათ, ბევრი ლაპარაკის უფლება ტყვესთან არც ჰქონდა.

ხელში ვედრო ეჭირა. ისევ ის ნაცნობი სუნი ასდიოდა. მივხვდი, სადღეობი ფეჭვილი ხსნარი იყო.

წყალი გადავივლე, საპონი ჩამოვიცილე. მერე ფრიდრიხმა ონკანი გადაკეტა და ვედრო თავზე დამაცალა. უხეში ქსოვილის ტილო მომაწოდა.

ტანი შევიმშრალე. ფრიდრიხმა კარი გამოაღო და სკამზე გადაკიდებული ტილოს ტანსაცმელი დამანახვა.

— ეს ჩაიცვი.

— საიდან იცი რუსული? — შევეკითხე.

ფრიდრიხმა შემომხედა. ხმა არ გამცა. ხელით კიდევ ერთხელ მიმანიშნა ტანსაცმელზე და ოთახიდან გავიდა.

დაბანის შემდეგ საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. საწოლზე წამოვწექი და ჩამეძინა.

ხმაურზე გამეღვიძა. ისევ ფრიდრიხი იყო. ლოგინიდან წამოვხტი.

— აი, ნოტები. აქედან რომელიმე უნდა დაუკრა, — ნოტები ფორტეპიანოზე დააწყო და გავიდა.

ეს იყო გრიგის და ლისტის ნაწარმოებები.

მუსიკა, ისევე როგორც ხელოვნების სხვა სფეროები ფაშისტურ გერმანიაში ფასდებოდა პიტლერის გემოვნების მიხედვით. ადოლფს განსაკუთრებით უყვარდა ვაგნერი, ვერდი, ლისტი და გრიგი. სიამოვნებით უსმენდა ბოშურ მუსიკას, ხარდაშს და რაფსოდებს...

\* \* \*

სამი დღის შემდეგ, ფრიდრიხმა ჩემი ოთახის კარი შემოაღო.

— დღეს უნდა დაუკრა. საღამოს სტუმრები მოდიან. შედი იბანავე, მოიწესრიგე თავი. მერე შეგიძლია რეპეტიცია გაიარო. ფორტეპიანოს შემოგიტანენ ოთახში. შენზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ მოეწონებთ, შეიძლება კიდევ ცოტა ხანს დაგტოვონ აქ, — მითხრა და ოთახიდან გავიდა.

გულში მწარედ ჩამეცინა. მას ჩემი აქ ყოფნა ბედის წყალობად მიიჩნია. მე კი ბანაკში მერჩივნა ყოფნა. თითქოს დამნაშავედ ვგრძნობდი თავს.

მიჭირდა ამ პირობებთან შეგუება, რადგან სხვები გაუსაძლის მდგომარეობაში იყვნენ, ნახევრად შიშვლები, მშობრები... მე კი დაპურებული, დაბანილი ვიყავი, საწოლში მეძინა.

ფრიდრიხი ისევ გამოჩნდა. ხელში საკიდარზე ჩამოკიდული სმოკინგი ეჭირა.

— აი სმოკინგი, კარადაში პერანგია. წინდებსაც მანდ ნახავ. ფეხსაცმელს ახლავე შემოგიტან.

ფეხებზე დამაკვირდა, ალბათ, ზომა რომ განესაზღვრა. ოთახიდან გავიდა. გარედან ხმაური

მოისმა, კარიც გაიღო. ორ მუშას შავი ფორტეპიანო მოჰქონდა.

— სად დავდგათ? — გასძახეს ფრიდრიხს.

— თვითონ გეტყვით, — ოთახში შემოვიდა და ხელით ჩემსკენ მიანიშნა.

მე, რა თქმა უნდა, “ვერ გავიგე” ნათქვამი, სანამ “დამტერეულზე” რუსულით არ გამიმეორა.

ინსტრუმენტი ფანჯრის საპირისპირო მხარეს დავადგმევინე, კუთხეში. ფრიდრიხი და მუშები გავიდნენ. მე ფორტეპიანოს მიუახლოვდი სახურავი ავხადე. ბეკერის ფორმის იყო, 1848 წელს გამოშვებული.

ის იყო კლავიატურისაკენ წავიდე ხელი, რომ კაკუნი გაისმა. კარიც გაიღო. დაბალი, წვერებიანი მოხუცი კაცი შემოვიდა. არც შემოუხედავს ჩემთვის. ინსტრუმენტთან მოვიდა. რამდენიმე პასაჟი დაუკრა. მერე ინსტრუმენტს სახურავი ახადა. მივხვდი, რომ ამწყობი იყო.

ინსტრუმენტს მოვშორდი და სკამზე ჩამოვჯექი. მესმოდა, როგორ სინჯავდა თვითოეულ კლავიშს. დაღლი სახე ჰქონდა, გამოფიტული. ისე იქცეოდა, თითქოს ჩემს არსებობას ვერ ამჩნევდა. ცოტა უცნაურიც კი მომეჩვენა.

ორი საათი მაინც აწყობდა ინსტრუმენტს. მე ვიჯექი სკამზე და ვუყურებდი მოფუსფუსე მოხუცს. თვალები დაუხუჭე. ერთი სული მქონდა დამეკრა ფორტეპიანოზე. ორი საათი საუკუნესავით გაიწელა.

უცებ ჩახველების ხმა მომესმა. თვალები გავახილე, მოხუცი მე მიყურებდა.

ჩემს მხედვანე ამწყობი შეკრთა, ინსტრუმენტები ჩანთაში ჩააღაგა და სწრაფად გავიდა.

ფორტეპიანოს მიუახლოვდი, სკამზე ჩამოვჯექი და ბახის პრელუდია დო მაჟორის დაკვრა დავიწყე. პირველივე ბგერების გაჟღერებისთანავე საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი. სხვა სამყაროში გადავედი. თითუბი თავისით დარბოდნენ კლავიშებზე.

არ მახსოვს რამდენი დრო დავყავი ინსტრუმენტთან. უცებ გამახსენდა, რომ მოსაწესრიგებელი ვიყავი. საღამოს ვახშამზე მოწვეული სტუმრები უნდა გავართო...

ვის! ვის უნდა დაუკრა! იმათ, ვინც ასე დაუნდობლად გვაულებენ მუსრს... მე კი მორჩილად ვზივარ და საღამოს, სმოკინგში გამოწყობილმა უბადრუკ ლაქიასავით !!!

ამას ხომ სიკვდილი სჯობია! აქეთ-იქით მიმოვიხედე. ფანჯრასთან მივედი. გისოსებს მოვეჭიდე ხელებით და უხმოდ ავტირდი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ნანა გერასიმოვას ბახსენება

ნანა გერასიმოვა არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის, ქართველ ხელოვანთა წრისთვის, ქართული კულტურისთვისა და მთლიანად საქართველოსთვისაა დიდი დანაკარგი, არამედ მან ქვეყნის გარეთაც უამრავ ადამიანს დაუტოვა დარდიანი მოგონება მასზე. ის მიუნხენში ჩვენი ქართული ცხოვრების ნაწილად იქცა, ჩვენი სამრევლოს, ჩვენი სიხარულის და ჩვენი ტკივილის ნაწილად. ჩვენ ერთად ვლოცულობდით, ერთად გვჯეროდა, ერთად ვუყურებდით მომავალს იმედის თვალით. მოგონებაში ლამაზი ქალბატონი დაგვრჩა, მოსიყვარულე და სიცოცხლეზე შეყვარებული, სათნო ღიმილით, ნათელი, იმედიანი გამოხედვით.

მან შექმნა და დატოვა იმაზე მეტი, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მოკვდავს შეუძლია. დატოვა დიდი სიტბო, სიყვარული, ფერები, რომლებიც მხოლოდ მას შეეძლო ასე შეერწყა ერთმანეთისთვის და მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელიც არა მარტო გრაფიკითა და ფერწერით შემოიფარგლება, არამედ კინო და სატელევიზიო მხატვრობის სფეროსაც მოიცავს.

ნანა გერასიმოვა 1963 წლის 17 აპრილს თბილისში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი გრაფიკის ფაკულტეტი. 1989 წლიდან კი უკვე თვითონ გახდა იგივე აკადემიაში პედაგოგი. როგორც ასოცირებული პროფესორი მუშაობდა სამხატვრო აკადემიის მოდელირების კათედრაზე და ცდილობდა ახლა უკვე მომავალი ხელოვანებისათვის გაეზიარებინა ფერებისა და ფორმების შერწყმის საიდუმლო. მისი გაფორმებულია უამრავი ქართული წიგნი, ასევე იყო ჟურნალ „კინოს“ და ტელეგადაცემა „კოლაჟის“ ავტორი. ნანა გერასიმოვაა დამდგმელი და კოსტიუმების მხატვარი ფილმისა „ფენისტე“. ორმოცამდე გამოფენის მონაწილე და 8 პერსონალური გამოფენის ავტორი, შექმნილი უამრავი პორტრეტის, ნატურმორტიისა და პეიზაჟისა. არაჩვეულებრივი მხატვარი ასევე დიდი ღიზინერიც იყო. მან ქართული სამოდელიო სამყარო საინტერესო შენაძენით

გაამდიდრა. 2007 წელს მის მიერ წარმოდგენილ კოლექციას, ქართული ეროვნული ტანსაცმლისა და ევროპული მოდის უახლესი ტენდენციების შერწყმის შედეგად წარმოშობილი უნიკალური კოსტიუმები ამშვენებდა.

ნანა გერასიმოვას პერსონალური გამოფენა 17 აპრილს, მის დაბადების დღეზე, „ვერნისაჟში“ მის გარეშე და მასზე ტკივილიანი მოგონებით გაიხსნა.

გერმანიის ქართული სათვისტომო სამხმარს უცხადებს ნანა გერასიმოვას ოჯახსა და მეგობრებს.

თინათინ ჩითინაშვილი



# სკრამბლ

		3				6	1	
			7	9	1			
1		5						
	4	1						3
			6					9
6	5	9						4
2	3	4						
					8			5
				1	4			9

		6	1	8	7	2		
					6	3		
	4				3			
5			9	6				
1							8	4
2			3					6
		8		4			9	
		2					7	8
	9	7		2				

ჩვენი ზახუნოშია ამეჩიყაში გამომავალი ქახთუდი გაზეთი „მამული“

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო  
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.  
Herausgegeben seit Oktober 2005

დაფუძნაბა-ბამოყაბელი:  
ბახმანიის ქახთუდი სათვისტომო

სახელაქრო ჟოღაბა:  
ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)  
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)  
ნინო დალაქიშვილი  
ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტი  
ეკატერინე ცირიკაშვილი

## მულაქსობ მისამაღობ

Georgischer Verein in  
Deutschland e.V.  
c/o Leri Datashvili  
Roemerhofweg 51c  
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:  
ტელ.: 0711/12 28 97 26  
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de